პუნქტუაციის ნიშანი:  $\angle$  . ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვაქვს მსგავსი სასვენი ნიშანი:  $\succ$  [იხ.ქსე.231].

აღსანიშნავია, რომ ფესტოს დისკოსა და A ხაზოვანი ტექსტების სიტყვათა დიდი ნაწილი, მათ შორის პრეფიქსები, სუფიქსები, სიტყვათა ფუძეები, უცვლელი სახით გვხვდება ლაზურ-მეგრულ დიალექტებში. მაგალითად:

1) - ეფ- მრავლობითის მანარმოებელი სუფიქსი:

$\succ$   $\Xi$   $\Xi$  ყვილ-ეფ-ა (HT 117 a) – შესატყვისი ყვილე-ეფ-ე.  
ყვი ლე ფა

2) ნაცვალსახელები: მა, სი, ე, თე, თენა (მეგრ.-ლაზ.). **მა, სი** და **ე** ნაცვალსახელები უცვლელი სახით გვხვდება ფესტოს დისკოსა და A ხაზოვან ტექსტებში. **თე** და **თენა** კი გვხვდება **ტე** და **ტენა**-ს სახით.

3) -ამ და -იან სუფიქსები;

მქონებლობის მანარმოებელი ქართული სუფიქსი -იან-ი გვხვდება ფესტოს დისკოს ტექსტში: კაბ-იან-ხე. ლაზურ-მეგრული -ამ სუფიქსი გვხვდება A ხაზოვან ტექსტებში.

მაგალითად,  $\text{⊕}$   $\text{⊕}$   $\text{⊕}$   $\text{⊕}$  კაბ-ამ-ალე (იხ. Za 8) – კაბიანი. კაბ-ამ-აბუ (იხ. PK 1), შუბ-ამ-ალი (იხ. HT 117 a). -ამ და -იან-ი სუფიქსები მეგრულშიც გვხვდება ერთდროულად [ქირია და სხვ..129].

4) **-ანა//ონა** სუფიქსები **-ანა**-ს სახით გვხვდება. მაგალითად,

**ႠႺႠ** ბულ-ანა (HT 10 b). **ბულონა** ბლის ბალი [ქობ.69]. აღსანიშნავია ის, რომ ბულ- (მეგრ.-ლაზ.) ფუძესთან ერთად ზოგიერთ ადგილას ბალ- (ქართ.) ფუძეც არის წარმოდგენილი.

5) **-ნარ** სუფიქსი ასევე უცვლელი სახით გვხვდება, მაგალითად, სიტყვაში:

**ႺႠႠ** ყვი-ლე-ნარ-ი (HT 39). ყვილენარი აღნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ძვალაია.

6) **-ფონა//ფუნა** ლაზური სუფიქსი გვხვდება **-ბუნა//ფუნა**-ს სახით:

**ႺႺႠ** ლურაბუნა//რულაფუნა (HT 8 a). **რულაფა** რბენინება, ჭენება [ქობ.574]. შდრ. **ბინეხეფუნა** ადგილი, სადაც ბევრი ვენახია. **ბინეხი** ვენახი. [თანდ. 62].


**ႺႺႠ** ფაჩხოზუნა//ფაჩხოფუნა (HT 96 a), გაფარჩხული, მეჩხერი, ხმელშტოებიანი ადგილი. **ფორჩხო//ფორჩხო** გაფარჩხული, მეჩხერი, ხმელშტოებიანი [ქობ. 628].


7) **ლე-** პრეფიქსი **-ე** სუფიქსთან ერთად აწარმოებს ადგილის სახელებს: **ლე-პიჯალალ-ე** (იხ. KN Zf 31).

**ႺႺႠ** ლებასკილე (HT 8 a) – **ბასკა//ბასქა //ბასკი** სქელი, ქერქუმოთილი ოთხნახნაგა მომცრო ფორმის ხის მასალა; ყავარზე დასაჭედებელი სქლად გათლილი ლატანი (ქარმა რომ არ ნაილოს); მკერდგანიერი; მძლავრი (გადატ.) [ქობ. 58]. როგორც აღვნიშნეთ, **ლე-** პრეფიქსი **-ე** სუფიქსთან ერთად ტოპონიმებს აწარმოებს. **ლებასკალე** ნიშნავს ადგილს, სადაც არის ბასკა//ბასკი, ქერქუმოცლილი ხის მასალა; ყავარზე დასაჭედებელი ლატანი.

8) **-ალა** აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს [ქაჯ. I.]. გვხვდება უცვლელი სახით. მაგალითად, ბაპ-ალა (იხ. HT 97 b), შესატყვისია **პაპა-ალა** მღვდლობა. ბაპ- ფუძე სვანურში გვაქვს, ხოლო ლაზურ-მეგრულ დიალექტებში არის შესატყვისი ფუძე პაპ-.

9) **-შარ// -იშარ** წარმომავლობის მანარმოებელი სუფიქსი:

 ყვილუშირი (HT 86 a) – **ყვილუ** მკვლელი, ჯალათი. ყვილუშარი ნიშნავს მკვლელისიანები, მკვლელის, ჯალათის ოჯახის წევრები.

 ყვირიშურა (Za 8 ) – **ყვირი** მოკლული [ქობ. 655]. **ყვილუა** კვლა, დაკვლა, -შურ სუფიქსის შესატყვისია – **შარ// იშარ** სუფიქსი. ყვირიშურა მოკლულისიანები.

10) **-ორ, -არ** წარმომავლობის სუფიქსები უცვლელი სახით გვხვდება ფესტოს დისკოს ტექსტში, მაგალითად: ტუო-არ, ქოთუ-ორ (იხ. ფესტოს დისკო).

11) **-ხუ** (მეგრ) კნინობით-მოფერებითი სუფიქსი გვხვდება **-ხე**-ს სახით: კაბიან-ხე (ფესტოს დისკო).

12) **აშა – , ეშა-**. ზმნისწინები წარმოდგენილია ზმნისწინით ეში-: ეშიკარილი (იხ. SY Za 2).

13) **დო-, დი-** ზმნისწინები. **დი-** მარტივი ზმნისწინი, იგივეა, რაც **დო-** [ქაჯ. I.]. უცვლელი სახით გვხვდება ფესტოს დისკოს ტექსტში, მაგალითად: დო-ფანცანა, შესატყვისია დოფაცურაფა (ფანცური) დაფაცურება. დი-ბაჯა, ძირი ბაჯ- შესატყვისია ბარჯ- (იხ. ზემოთ, ფესტოს დისკო).

14) **მა-** პრეფიქსი **-უ, -არ, -ერ** სუფიქსებთან ერთად აწარმოებს მიმღეობას:

**მა-ჩხოზ-უ** (იხ. ZA 10b) შესატყვისია **მო-ჩხოზ-არ-ი** (ქართ.), **მა-ჩხოპ-ერ-ი** (მეგრ.).

15) **მალა-//მოლა-//მოლე-** რთული ზმნისწინები (ქართულად, გამო - . შემო - , წამო - ზმნისწინები), A ხაზოვან ტექსტებში გვხვდება მალე-ს სახით:

რ̂ Ⴀ Ⴁ Ⴃ Ⴄ Ⴅ\* მალე-ლეყვილუ (HT 96 a). მალელეყვილუ – ნამოხეტება, შემოხეტება. **ლაყვალი** თიმთიმი, ლაყლაყი; ყიალი. **ლაყვალა** დონდლო; დუნე; ფომფლე; მოყილუ [ქობ. 380]. შდრ. **მილალაყვალი** ბოდიალი, ბლაყუნი (ოთახში) [ქობ. 433]. **გილალაყვალი** უქნარას სიარული, ყიალი [ქობ.129].

რ̂ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ მალეღემაბალა(PH 6) – მალე-ღემაბალა, აქაც ზმნისწინია მალე-. **ღამება** ნიშნავს: 1) ცდა; დაპირება, სწრაფვა, სურვილი [ქაჯ. II.181].

16) **მეთო-//მითა-//მითო** – რთული ზმნისწინები:

მატა-კვიჩონა (იხ. Za 10A). მატა- ზმნისწინის შესატყვისია მეთო-//მითა-//მითო ზმნისწინები.

17) **ნა-** პრეფიქსი **-ა, -უ, -ალ** სუფიქსებთან ერთად ასევე გვხვდება A ხაზოვანის ტექსტებში, მაგალითად:

ნა-პაპ-უ (იხ. KN Zf 31 ), ნა-ბუნ-ა (იხ. CR (?) Zf 1 ), ნა-ფაკ-ალ-ი (იხ. Za 15a).

18) **-ირ-//-ილ** სუფიქსები A ხაზოვან ტექსტებში გვხვდება **-ირ, -ერ**, და **-ალ-ის** სახით. მაგალითად, ფალ-ერ-ა Ⴆ Ⴇ Ⴈ (HT 17). შდრ. ფალ-ირ-ი (მეგრ.) აღნიშნავს გაფურჩქნულს, გახარებულს.

Ⴎ Ⴏ Ⴐ ბუნალე (HT98 a) შდრ. ბუნ-ილ-ი (მეგრ.). გადაღვრილი.

19) -ურ სუფიქსი ასეთივე სახით გვხვდება სიტყვაში ლებ-ურ-ა

**ⴁⴚⴑ** (HT 88) შესატყვისია **ლებური** დავლილი; გაჩხრეკილი [ქობ. 381].

20) ზმნები:

**პი** (ვეენი) და **პა** (ვენა) უცვლელი სახით გვხვდება A ხაზოვან ტექსტებში (HT 85b).

**ლე, ლი** არის. აღსანიშნავია ის, რომ ზმნა ლი გვაქვს სვანურში: **ლი, ლიზ** არის [თოფ., ქალდ. 934]. ლუ-ს სახით გვხვდება მხოლოდ A ხაზოვან ტექსტებში. როგორც ჩანს, ადგილი აქვს ფონეტიკურ ცვლილებას: უ-ი.

**ყვიფა** – A ხაზოვან ტექსტებში ვხვდებით სიტყვას ყვიფა, რომლის შესატყვისი ძირია ყვ-//ყვ-. **იყ’ი//იყ’უაფუ** იქნება [დად. 48]. **ყვ(>ყვ>ი>ვ)-უ** ყო, ქმნა; მოიმოქმედა; გააკეთა [ასათ. 282]. **ი-ყვ (>ყვ>ვი)-ენ** იქნება; **ი-ყვ-აფ-უ-ნ** იქნება [ასათ. 283,284]. **ყვაფა** ქმნა [თანდ.815].

**ლ-:** – A ხაზოვან ტექსტებში გვხვდება ლი-ს სახით. **ჭან. ლ-: ი-ლ-უ,** მეგრ. **ლ-: ი-ლ-უ,** ქართ. **ლ-: ი-ლ-ო** ღება, ტარება. ეგევე ძირი **ლ-** უნდა გვქონდეს ზმნაში **უ-ლ-უ-ნ** აქვს [ჩიქობ. IV, 334, 335]. **ილი** ნაიღე.

21) სი- თავსართი:

სი-ნაჩხოფ-ა (MA 1) – სიტყვის ძირია ჩხ-, პრეფიქსია სი-, სუფიქსია -ოფა. შესატყვისი მეგრულ-ლაზურში (ჭანურში) არის ასევე ჩხ- ძირი, პრეფიქსი: სი-. და სუფიქსი: -ოფ-ა. **-ოფა (-ოფ-ა)** მოქმედების სახელთა (სანყისი) დაბოლოებაა [ქაჯ.]. შდრ. **ჭან. მ-ჩხ-ოფ-ა,** მეგრ. **სი-ნ-ჩხ-ე. მჩხოფა//მჩხოფა** სიცხე [ჩიქობ. IV, 196].

22) **ლე-** პრეფიქსი (ადიექტივის ანარმოებს):

**ⴁⴚⴑ** ლე-სისკი, **ⴁⴚⴑ** ლე-ბუსკი (HT 6 a).

23) **-ჩხა, -შხა** სუფიქსები გვხვდება კვირის დღეების სახელ-  
წოდებებში. A ხაზოვანში გვხვდება **-ჩხო** -ს სახით.

ბალუე-ჩხო (იხ. CR (?) Zf 1), ფატალუ-ჩხო (იხ. HT 85 b).

24) **დო** როგორც კავშირი, ასეთივე სახით გვხვდება ფესტოს  
დისკოს ტექსტში:

დო კაბიანხე.

25) **ქო**- დადასტურების ნაწილაკი. ფესტოს დისკოში გვხვდება  
„კა“-ს სახით

კა-ხეტუ (ფესტოს დისკო), ქო-ხეტუ (ლაზ.).

26) **-ლი ნაწილაკი** (მაყვინაბალი, იხ. Za 15a ), მისი შესატყვისია  
ქართულში ნაწილაკი **ღა**, რომელიც დაერთვის სიტყვას და  
აძლიერებს მის შინაარსს. ძველ ქართულში გვაქვს **ღა(ღ)** [საბა, II,  
244]. მეგრულში მისი შესატყვისია **-გა** ნაწილაკი [იხ. ქაჯ. I. 277].

ხმოვანთა შესატყვისობა ფესტოს დისკოს, A ხაზოვანის ენასა  
და ლაზურ-მეგრულ დიალექტებს შორის ისეთივეა, როგორც  
ქართულსა და ლაზურ-მეგრულს შორის. ხმოვანთა შესატყვისობა  
ქართულსა და ლაზურ-მეგრულს შორის შემდეგია: ე – ა, ა – ო, ი – ე.  
უნდა აღინიშნოს, რომ ბგერათშესატყვისობის წესი მყარი არ არის  
[ჩიქოზ. IV, 29].



## A ხაზოვანი დამწერლობის ტექსტების ზოგადი მიმოხილვა

A ხაზოვანი დამწერლობის ტექსტებიდან ყველაზე გამორჩეულია ვერცხლის სარჭზე გაკეთებული წარწერა (იხ. KN Zf 31). ტექსტი ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია. თუმცა მაინც კარგად იკითხება. ის ღირშესანიშნავია იმიტომ, რომ ნახსენებია ტოპონიმი ლეჩხომანა, შესატყვისია **ლეჩხომა** (მეგრ.), **ლეჩხუმი** (ქართ.). იგი მდებარეობს საქართველოში. ლეჩხუმშია ხვამლის მთა, რომელიც ბერძნული მითების თანახმად, წარმოადგენს ადგილს, სადაც ინახებოდა ოქროს საწმისი. მთა, რომელზედაც მიჯაჭვული იყო პრომეთე. ტექსტში ლეჩხომანა მოხსენიებულია, როგორც მინამრავალი ადგილი, სადაც ბევრი მალღარი ვაზია. იგი დახასიათებულია, როგორც ნახუცარი, ბერთა ნადგომი ადგილი, სადაც პირობიანი, პათიოსანი, უწყინარი და აუჩქარებელი ხალხი ცხოვრობს.

A ხაზოვანი დამწერლობის თითქმის ყველა ტექსტი შეიცავს რელიგიური ხასიათის ინფორმაციას. როგორც ჩანს, მინოსელების ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ადმინისტრაციულ თუ საბუღალტრო ტექსტებშიც კი, სხვადასხვა ნივთების, შესრულებული სამუშაოს გვერდით, მოცემულია ჩატარებული რელიგიური რიტუალების რაოდენობრივი მნიშვნელობები.

მინოსელების ერთ-ერთ მთავარ რიტუალს წარმოადგენდა სამსხვერპლოზე სითხის დასხმის წესი. ტექსტებში არ ჩანს რა

სითხეზეა საუბარი, თუმცა ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში ამგვარი რიტუალებისთვის ძირითადად გამოიყენებოდა ღვინო, წყალი, რძე.

ყველა მსხვერპლთშენიერვის მაგიდაზე გაკეთებულია წარწერა: ნაზუმალეპაე, რაც ნიშნავს ადგილს, სადაც ხდებოდა რიტუალური სხმა, ღვრა. **ნაზუმა** {გადა}ნასხამი. [ქაჯ. I. 263]. ზოგიერთ მაგიდაზე არის კულტის მსახურის სახელი მაგალითად, ფანაჯა (IO Za 2). მეორე სამსხვერპლო მაგიდაზე ვხვდებით სახელს ნაე (SY Za 2). როგორც ჩანს, ამ რიტუალისთვის ზოგან გარკვეულ ხელსაწყო-საც იყენებდნენ. თავად სამსხვერპლო მაგიდებს თითქმის ყველას ერთნაირი ფორმა აქვს (იხ. ფოტოები), მაგრამ ზოგი ჩადგმულია ოთკუთხა სადგამში (SY Za 2). ერთ-ერთ მაგიდაზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც გვატყობინებს, რომ რიტუალის ჩატარება შეწყვეტილა (გამშრალია) და თავიდან არის გასაფურჩქნო (IO Za 2).

ერთ-ერთ ტექსტში (KO(?) Zf 2), ვხვდებით იმდროინდელი ღვთის მსახურის დახასიათებას: გამხდარი, ჯიუტი და მომთხოვნიყო. ღვთის მსახურ მამაკაცებს ეწოდებოდა ბაფა, ბაპა, მისი თითქმის ზუსტი შესატყვისი გვაქვს ქართველური ენის სვანურ დიალექტში: **ბაპ** ანუ მღვდელი. მეგრულ-ლაზურ დიალექტებში გვაქვს **პაპა**. ქურუმ ქალებს უწოდებდნენ დედა-ს, მათ შორის მთავარი ქურუმი ქალი იყო ნათელი დედა, (ნატა//ნათა ნანა. NT 85 A, HT 9 a). აღსანიშნავია ის, რომ რელიგიურ რიტუალებს ქალებიც ატარებდნენ. ცნობილია, რომ მინოსელები თავყვანს სცემდნენ დედა ღვთაებას.

ყველაზე ხშირად ვხვდებით, წყლით განბანვის რიტუალს ე. წ. ბანა-ს, რაც განბანვას, დაბანას ნიშნავს. ტექსტებში არის ცალკე გამოყოფილი წმინდა სალოცავი ადგილები, სახელწოდებით: ფანა და ფანაბანაფა ( SY Za 2, KO Za1). ფანაბანაფა-რთული სიტყვაა, შედგება ორი კომპონენტისგან; **ფანა** წმინდა სალოცავი ადგილი, კომლი, კერა [ქობ. 621] და **ბანაფა**. მისი შესატყვისია სიტყვა ბანება.

**ბანება** დაბანის ქმნა [ქართ. საბა, I, 94]. შდრ. **ბონუა** დაბანა (მეგრ.) [ქობ. 65]. ფანაბანაფა აღნიშნავს განბანვის წმინდა სალოცავ ადგილს.

ტექსტებში აღწერილია თუ რამდენი ადამიანის განბანვა ხდებოდა. ხშირად ვხვდებით სიტყვას ბანალე, ქართულში შესატყვისია ბანებული, მეგრულში კი ბონილი, ბან- (ქართ.)//ბონ- (მეგრ., ჭან.) [ჩიქობ. IV, 254]. **ბონილი** დაბანილი, განბანილი, გათანაბრებული [ქობ. 65]. საინტერესოა ამ სიტყვის განმარტება: განბანილი ამავე დროს გათანაბრებულსაც ნიშნავს. ზოგ ტექსტში ვხვდებით სიტყვას: ნალერა. მეგრულში გვაქვს ზმნა: **ლარუა** გასწორება [ქობ.]. ძირების: ლარ-//ლერ- შესატყვისობიდან გამომდინარე, ნალერა უნდა ნიშნავდეს ნასწორებს, გასწორებულს, გადატანითი მნიშვნელობით, გათანაბრებულს//გათანასწორებულს. შესაძლოა ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს რაიმე რიტუალთან, რომელიც გარკვეულ სოციალურ საფეხურზე ასვლასთანაც იყოს დაკავშირებული. არ არის გამორიცხული გასწორებული ნიშნავდეს გასტუმრებულ ვალსაც.

განბანვის რიტუალთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის თუ პროფესიის ადამიანებისათვის ის განსხვავებულად ან ცალ-ცალკე ტარდებოდა. მაგალითად, მკვლელის განბანვის რიტუალი დანარჩენებისგან ცალკეა აღრიცხული (HT 95 b).

KH 5 -ს ტექსტში ვხვდებით სიტყვას **𐌆 𐌱 𐌸** ნანატა//ნანათა, მეგრულში შესატყვისია ნანათა. **ნანათა** ნანათლი, ნათლული [ქაჯ.].

როგორც Za 14 -ს ტექსტიდან ირკვევა აცხოზდნენ რიტუალურ კვერებსაც:

**𐌆 𐌶\* 𐌸 𐌸** შელუბარა. **შელეზური** რიტუალური კვერია. [იხ. ქობ. 659].

საკრალურ ხეს წარმოადგენდა ბლის ხე. მასზე ლოცულობდნენ. მაგალითად, ტექსტში (KN Zf 13), ბეჭდის მფლობელი დახასია-

თებულია, როგორც ღვთისმოსავი კაცი ბულა. ბულა ნიშნავს ბლის ხეზე მლოცველს.

ბლის ხისგან დამზადებული ნაკეთობები გვხვდება ტექსტებში.

 ბალესი (HT 6 a). სიტყვის ბალესის შესატყვისია ბულიში

(ბალ-//ბულ- ძირი). ბულიში კი განმარტებულია, როგორც ბლის ქერქი და მისი ნაკეთობანი [ქობ.68].

იმ ტექსტებში, სადაც აღწერილია სალოცავი ადგილების ქონება თუ სხვა, ვხვდებით ჩატარებული რელიგიურ-სანახაობითი ბრძოლების შესახებ იმფორმაციას. **ZA 10 b**-ს ტექსტში ვხვდებით სიტყვას მაჩხობუ. მისი შესატყვისია მოჩხუბარი(ქართ.) და მაჩხოპერი (მეგრ.). **Za 10A** ტექსტში ვხვდებით სიტყვას მაჩხოლეფა, მისი შესატყვისია **მანჩხალარი** დამძგერებელი, დამჯახებელი. **HT 97 a** ტექსტში ვხვდებით სიტყვას ლიმაპა, შესატყვისია: **ლიმა//ლიმუა** ომი, ბრძოლა. ყველაფერი ეს უნდა იყოს დაკავშირებული რელიგიურ-სანახაობით რიტუალთან. მაგალითად, მინოსურ ფრესკებზე გამოსახულია ადამიანის და ხარის ბრძოლის სცენა.

მინოსელების ცხოვრებიდან აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ახდენდნენ შრომითი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას. მაგალითად, ჰქონდათ სწრაფად საქმის კეთების დღე ფატალუჩხო, შესატყვისი იქნება ფატალუაჩხა (HT 85b, HT 6 b). ზოგიერთ ტექსტში ვხვდებით მონათა სახელებს, კაჯალე, ბაყვირაჯა (PK 1, ZA 10 b). როგორც ჩანს, მონებს ფიზიკური მონაცემების მიხედვით არქმევდნენ სახელებს.

მინათმოქმედება: **Za 15a** -ს ტექსტში აღწერილია საყანედ ადგილის მომზადების პროცესი, გადანვა-გატეხვა (ახოსი), უკვე საახოედ გადამწვარი და გაკაფული ადგილები.

სხვადასხვა ტექსტში მრავალჯერ არის ნახსენები ლამი, ასევე ნიაღვრისგან მოტანილი შლამის ნარჩენი, რომელსაც როგორც

ჩანს, მიწის გასანოყიერებლად იყენებდნენ. მდინარეში პატარა კუნძულიკაზე საფარის ქვეშ უვლიდნენ ნერგებს (იხ. Za 20 ტექსტი).

ახდენდნენ ნარჩენების უტილიზაციას. Za Zb 3 ტექსტი შეეხება საქონლის ბაგიდან აღებულ, დამუშავებულ და მარცვლეულ გამოცალკევებულ ნარჩენებს. ARKH 2 ტექსტი კი ზუთხისებრი თევზის, ფორეჯის მოშენებას. აღნუსხულია გამრავლების უნარის მქონე ყველაზე უმცროსი თაობის და დაავადებულების რაოდენობრივი მნიშვნელობები.

HT 117a, ZA10 a, HT88, HT 96 a ტექსტებში არის ინფორმაცია ნადირობის შესახებ. იყენებდნენ მორეკვიტ ნადირობის ხერხს, რომლის დროსაც ხდება ნადირის გარეკვა ჩასაფრებული მონადირეებისკენ. იყენებდნენ ნაბულებს, მსხვერპლზე თავდასასხმელად განვრთნილ, დაგეშილ ძაღლებს.

HT 8 a ტექსტში ნახსენებია ცხენის გასაჭენებელი და სარბენი ადგილები (იხ. ქვემოთ).

## A ხაზოვანი დამწერლობის ტექსტები

თვალსაჩინოების მიზნით, მოცემულია თითოეული A ხაზოვანი ტექსტის შესატყვისი (სიტყვები, სიტყვის ფუძე, ძირი) ლაზურ-მეგრულ დიალექტებში, სიტყვათა განმარტება და ანალიზი. (A ხაზოვანი ტექსტების ფოტოები იხილეთ ფრანგული ათენური სკოლის საიტზე: <http://cefael.efa.gr/site.php> ).

? – კითხვის ნიშნით აღნიშნულია წარწერების დაზიანებული ადგილები.

### NT 85

ა) NT 85 A ( Gorila I, 130)

Რ Ს Ტ Ტ Უ

ნა ტა. ნა ნა. შუ.

Რ Ს Ტ Ტ Უ\*

ლე ლა ლე 12. ლე ლუ 12.

Რ Ს Ტ Ტ Უ

ფა რა ნა 6. ლე ფა



ფა 24. ყვი რი ლუ 5



ჯა ფო 3. ლე რა 4.



ყვი ფა ]66

NT 85 A ტექსტის სიტყვები:

ნატა. ნანა. შუ. ლელალე. ლელუ. ფარანა. ლეფაფა. ყვირილუ.  
ჯაფო. ლერა. ყვიფა

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტში:


ნათა. ნანა. შუ. ლელ-. ფარანი. რეფაფი. ცვილირი. ჯობა. ლარო.  
ყვ-.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნატა – **ნათა** ნათელი, ნათელა, სახენათელი [ქობ. 504]. ნათა ნათელს ნიშნავს. იგივე ა. ქობალიას განმარტებით კი, ნათელი არის არაცოცხალი, ხორცში ნაჯდომი სული, იდუმალი ფანტომი. ალის მსგავსად ღამით, ბნელში გამოეცხადება ადამიანს, ბინადრობს უკაცრიელ მისტიურ ადგილებში [ქობ. 504].

ნანა – **ნანა** დედა ( კულტის მსახური ქალი).

შუ – **შუ** ნამიანი, ნოტიო, სველი; ტენიანი [ქაჯ.III.268]. შდრ. **შუ** ახსოვს [ფიფ.49].

ლელალე (ლელ-ალე) – რწეული. HT 86 a ტექსტში ვხვდებით მსგავს სიტყვას  ლელაპა – ლელ-აპ-ა//ლელ-აფ-ა, მეგრულ-ლაზურში -აფ- ბოლოსართი წარმოადგენს თემის ნიშანს

ზმნებში. მისი შესატყვისია ლაზური ზმნა ლელა. **ლელა** რწვეა [თანდ. 396]. რწვეაში უნდა იგულისხმებოდეს სამუშაო, რომელსაც აქეთ-იქით მოძრაობა, რიტმული რხევა სჭირდება.

ლელუ – ერთის მხრივ, -უ სუფიქსი აწარმოებს ვნებითი გვარის მიმღეობას: **ჭკად-უ** მჭედელი, **ჭკადუა** ჭედვა [ქაჯ. III. 479]. შესაბანიხად, ლელუ ნიშნავს მრწველს. მეორეს მხრივ, უ-ო-ი ცვლილების შედეგად მივიღებთ: ლელუ-ლელი. **ლელი** ნვრილ ლერწამი [საბა, I, 411]. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე და თან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სიტყვა ლელი, ლერწამი სხვა ტექსტებშიც გვხვდება, **ლელუ** ნვრილი ლერწამია.

ფარანა – **ფარანი** დრო, ხანი; მონაკვეთი დროისა; უღრანი, დაფუტურობული ტყე [ქობ. 622].

ლეფაფა//რეფაფა – **რეფაფი** ცემა უროსი [ფიფ., 38].

ყვირილუ – **ყვილირი** მოკლული, დაკლული. [ქობ. 654].

ჯაფო//ჯაბო – **ჯობა//ძობა //ძობუ** ძაბუნი; ნაშიერი ძროხისა, რომელიც ჯერ კიდევ ნოვს ძუძუს [ქობ. 741, 692].

ლერა – **ლარო** ხის ორმო, ქვითკირის ორმო. ზოგი ავტორის მიხედვით (კარტოზიასთან), სალაროს მნიშვნელობა აქვს [თანდ. 394]. შდრ. **ლარო//ხაო** [თანდ.394]. **ხაო იხ. ხარო** [თანდ. 872]. **ხარო** 1. ღრმა ორმო. 2. ქვითკირის ორმო(საბა). იყენებენ მარცვლეულის შესანახად. 3. მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი (ან ბელის განყოფილება) [ქეგლ.VIII, 1347 ]. მინოსელთა სასახლეების არქეოლოგიური გათხრებისას სარდაფებში აღმოაჩინეს ორმოები, სადაც მარცვლეულს ინახავდნენ.

ყვიფა – იქნება, ძირი: ყვ- [იხ. ზემოთ].

NT 85 A ტექსტის შინაარსი:

ნათელი დედა. სველი. რწეული – 12. ლერწამი – 12. დროის მონაკვეთი – 6. უროს ცემა – 24. დაკლული – 5. ნაშიერი ძროხისა,



რომელიც ჯერ კიდევ წოვს ძუძუს – 3. სალარო (განძეულის) ან მარცვლეულის შესანახი ორმო – 4, იქნება – ] 66

კულტის მსახურ ქალთა იერარქიაში, ნათელი დედა, როგორც ჩანს, უფრო მაღალ დონეზე იმყოფება. სხვა ტექსტში (HT 9), კულტის მსახური დედა ნახსენებია კულტის მსახურ მამაკაცთან ერთად  $\Upsilon \dagger$  – ბაფა//ბაპა, (შესატყვისია **ბაპ** (სვან.), **პაპა** მღვდელი, ხუცესი) თან ტექსტის ბოლოს, სხვადასხვა ნივთების ჩამონათვალში). წინამდებარე ტექსტში აღნუსხულია ნათელი დედის სამფლობელოში შესრულებული სამუშაოების და ნივთების ჩამონათვალი.

ბ) HT 85 b (Gorila I, 132)

$\text{ჩ} \text{ჩ} > \dagger \text{მ} \text{ჩ} \Psi$

ლუ ლუ ლი ე. ლუ რა

$\text{ჩ} \text{⊕} \text{⊕} \text{†} \text{≡} \text{↓}$

ფა 1 სი ბა 1. პა 1. ჯა რი 1.

$\text{⊕} \text{†} \text{ჩ} \text{†}$

? ბა 1. პი 1. ლა ნა 1.

$\Psi \text{†} \text{≡} \text{ჩ} \text{ჩ} \text{†} \text{†}$

რა პი ლე 1. ფა ტა ლუ

$\text{†} \text{⊕} \text{†} \text{⊕} \text{†}$

ჩხო 1. კა პი 1. ლე კა მა 1.

HT 85 b ტექსტის სიტყვები:

ლულუ. ლიე. ლურაფა. სიბა. პა. ჯარი. ბა. პი. ლანა. რაპილე.  
ფატალუჩხო. კაპი. ლეკამა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ლულუ. ლია. რულაფა. შიბა. პა. ჯარი. ფა. პი. ლენი. ლაფირი.  
ფატალუა, -ჩხა. კაპი. ლაკომა.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

რურუ//ლულუ – **ლულუ** ქორფა, რბილი [თანდ.402].

ლიე – **ლია** გათავება [ფიფ., 26].

ლურაფა//რულაფა – **რულაფა** რბენინება; ჭენება [ქობ.574].  
შდრ. **ნარულაფუერი** რბენის საფასური [ქაჯ. II. 542].

სიბა – **შიბა** შოვნა, შეძენა, მოპოვება [ქობ. 661].

პა – **პა** ვქნა [თანდ.707].

პი – **პი** ვქენი [თანდ.712].

ჯარი – **ჯარი** საჭმელი [თანდ.. 894].

ბა – **ფა** რკოს ჯამისგვარი ბუდე [ქაჯ. III. 81].

ლანა – **ლენი** ლაინი; ლურჯად შეღებილი ქსოვილი [ქობ. 381].

რაპილე//ლაფილე – **ლაფი(რ)ი** ლაფერა, ჩოგანი [თანდ. 394].

ფატალუჩხო – **ფატალუა** სწრაფად; სახელდახლოდ კეთება  
რისამე; მიფანტ-მოფანტვა; ბდღვირის ადენა საქმისთვის [ქობ.623].  
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **-ჩხა** სუფიქსი დღეების სახელ-  
წოდებებში გვხვდება. ფატალუაჩხო ანუ სწრაფად საქმის კეთების  
დღე.

კაპი – **კაპი** კაუჭი, ანკესი, კავიანი, მოკაუჭებული ჯოხი; ლერწი  
[ქობ. 354].

ლეკამა – **ლაკომა** ხის სიმრუდე [თანდ.393].

ნიშანი > – სასვენნი ნიშანია (იხ. ზემოთ).

HT 85 b ტექსტის შინაარსი:

ქორფა. გათავდა. ჭენება, რბენა-1. შოვნა, შეძენა – 1. ვქნა – 1. საჭმელი – 1. ? – 1. რკოს ჯამისგვარი ბუდე – 1. ვქენი – 1. ლურჯად შეღებილი ქსოვილი – 1. ლაფერა – 1. სწრაფად საქმის კეთების დღე – 1. კაუჭი, ანკესი, კავიანი, მოკაუჭებული ჯოხი; ლერწი – 1. მრუდე ხე – 1.

ტექსტის ავტორი გვატყობინებს, რომ ქორფა (პროდუქტი) გათავდა. ამიტომ ირბინა მის საშოვნელად, იშოვა, გააკეთა საჭმელი. როგორც ჩანს, მარტო საჭმლის კეთება არ ევალებოდა და სწრაფად საქმის კეთების დღეს გააკეთა ანკესი ან მოკაუჭებული ჯოხი.

## HT 95

HT 95 -ის a და b ტექსტები თითქმის ერთი და იგივეა. ფირფიტები დაზიანებულია და აქაც დაზუსტებულად, ვარაუდების გარეშე. რამდენიმე ნიშნის, სიტყვის ამოკითხვაა შესაძლებელი.

ა) HT 95 a ( Gorila I, 154)

ⲧ Ⲓ ⲛ Ⲉ ⲡ

ლე ტა კა ? ბუ. ნა

ⲧ Ⲓ ⲛ Ⲉ ⲡ

ლე ლა 10. ჩხო ფა ჯა 10.

Ⲙ ⲙ ⲛ ⲟ ⲛ ⲛ

ბა ნა 20. ყვი ლუ ში 10

ⲛ ⲟ ⲛ ⲛ

პი//ფი ნა ნა 10. სი

ⲛ ⲟ

ლა ფა 7.

HT 95 a ტექსტის სიტყვები:

ლეთაკა?ბუ. ნაღელა. ჩხოფაჯა. ბანა. ყვილუში. ფინანა. სილა-  
ფა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ლეთაკარი (ლეთაკარები). ლელა. ჩხაპილი. ბანა (ქართ.). ცვილუ. ფინ; ფინუა. სირაფი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ლეთაკა?ბუ – მართალია, ამ სიტყვაში ლეთაკა?ბუ ერთი ნიშანი დაზიანებულია და არ იკითხება, მაგრამ როგორც ჩანს ის „რე“ მარცვლი უნდა იყოს. მაშასადამე, გვექნება ლეთაკარებუ//ლეთაკარები რაც მცირე დასახლების სახელწოდება უნდა იყოს. შდრ. **ლეთაკარი** ალიზის კარავი, დასახლება [ქობ.381]. **ლეთა** მინა (ლაზ.), **კარი//კარები**, **კარი** შესასვლელი; სახლი უფლისა; კომპოზიტი მცირე დასახლებასაც ნიშნავს [ქობ. 355].

ნალელა – ნარწევი. **ლელა** რწევა [თანდ.396].

ჩხოფაჯა//ჩხოპაჯა – **ჩხაპილი** {და}სხურებული, {და}შხეფებული [ქაჯ. III. 327]. **ჩხაპუა** შხაპვა, სხურება, პკურება [ქობ. 678].

ბანა – **ბანა** განბანვა, დაბანა (იხ. ზემოთ).

ყვილუში – **ყვილუ** მკვლელი, ჯალათი [ქობ.654].

ფინანა – შესატყვისი ძირია ფინ- (ჭან., მეგრ.) გაფენა, გაშლა [ჩიქობ. IV, 321]. ფინაფა//ფინუა, **ფინაფა** ფენა, შლა (ხელისა) [ქობ. 626]. რადგანაც სიტყვა ფინაფა ნიშნავს გაფენასაც (მაგალითად, ქსოვილის გაფენა) და ხელის შლასაც, შესაბამისად, სიტყვაში ფინანა უნდა იგულისხმებოდეს გაფენილი ქსოვილი, ძაფი ან რალაც რელიგიური რიტუალი, ლოცვა, შლა ხელისა. შდრ. **ნაფინუერი** ხელის გაშლის საფასური [ქაჯ. III. 99]. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია მინოსური ეპოქის ღვთაებათა ფიგურები, რომელთაც ხელები გაშლილი აქვთ.

სილაფა – **სირაფი** წვრილ ნაკადად, მაგრამ ძალუმად; ჭავლად დენა, უფრორე მილიდან [ქობ. 593]. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ მინოსელები იყენებდნენ თიხის წყლის მილებს.

HT 95 ა ტექსტის შინაარსი (დაზიანებული ადგილების გარეშე):

ლეთაკარები. ნარწევი – 10. პკურებული – 10. განბანვა – 20. მკვლელის – 10. გაფენა ან შლა ხელისა (რელიგ. რიტ.) – 10. ადგილი, სადაც განუწყვეტალ ნაკადად მოედინება სითხე (სავარაუდოდ, წყალი) – 7.

მცირე დასახლებაში, სახელად ლეტაკარები, ჩატარდა რელიგიური რიტუალები. რიტუალი ჩატარდა იმ ადგილას, სადაც განუწყვეტელ ნაკადად მოედინება სითხე (სავარაუდოდ, წყალი).

ბ) HT 95 b

𐤕 ? 𐤎 𐤎

ნა ? . ბა ნა 10.

? 𐤁 𐤕 𐤌

? ლე ლა 10. ჩხო

? 𐤑 𐤒 𐤓 𐤔 𐤕

ფა ჯა 10. ყვი ლუ ში 10.

𐤖 𐤗 𐤘 𐤙

პი//ფი ნა ნა 10. სი

𐤚 𐤛

ლა ფა 10.

HT 95 b ტექსტის სიტყვები (დაზიანებული ადგილების გარეშე):

ბანა. ყვილუში. ფინანა. სილაფა

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ბანა. ყვილუ. ფინუა. სირაფა

სიტყვათა განმარტება და ანალიზი (იხ. ზემოთ).

HT 95 b ტექსტის შინაარსი ( დაზიანებული ადგილების გარეშე):

? . განბანვა – 10. ? – 10. ჯალათის – 10. გაფენა, შლა ხელისა – 10. ადგილი, სადაც განუწყვეტელ ნაკადად მოედინება სითხე (სავარაუდოდ, წყალი) – 10.


საყურადღებოა, რომ ჯალათის განბანვის რიტუალი სხვებისგან ცალკეა გამოყოფილი და აღნუსხული.

## HT 97

ა) HT 97 a ( Gorila I, 158)



ბა ნა . ნა ნა. მა 82. სი 33



ბა ფა ლე 25. ლი მა პა 6.



პი 4. ნა ლე 4. კა პი 5. ფა 15.



ლუ 3. ? ბუ ლე 2. ?

HT 97 a ტექსტის სიტყვები:

ბანა. ნანა. მა. სი. ბაფაღე. ლიმაპა. პი. ნაღე. კაპი. ფა. ლუ. ბულე.  
შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ბანა. ნანა. მა სი. პაპალა. ლიმა. პი. ნალი. კაპი. ფა,პა. ლე. ბულა  
სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ბანა – ბანა განბანვა, დაბანა. ბანა აქ ადგილის სახელია. შდრ.  
ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის  
სახელწოდება „ბანა“.

ნანა – ნანა დედა (კულტის მსახური. იხ. ზემოთ).

მა – მა მე[ქობ. 384].

სი – სი შენ [ქობ. 592].

ბაფალე//პაპალე – პაპალა მღვდლობა, ხუცობა, სამღვდელოება [ქობ. 561].

ლიმაპა – ლიმა ომი, ღელვა, ბორგვა, ზვირთცემა (ზღვისა) [ქობ. 382].

პი – პი ვქენი, გავაკეთე [თანდ.712 ].

ფა//პა – ფა რკოს ჯამისგვარი ბუდე [ქაფ. ] ან პა ვქენა [თანდ.707].

ნალე – ნალი ნავალი [ქობ. 506].

კაპი – კაპი კაუჭი, ანკესი, კავიანი, მოკაუჭებული ჯოხი; ლერნი [ქობ. 354].

რუ//ლუ – ლი, ლე//რე არის (იხ. ზემოთ).

ბულე – ბულა კუნწულა, ყვავილენი; ბლის ხეზე (საკრალური ხე იყო) მლოცველი [ქობ. 68].

HT 97 a ტექსტის შინაარსი:

განბანვა (ადგილი). დედა. მე- 82. შენ- 33. ხუცობა (კულტის მსახურები) – 25. ბრძოლა – 6. გავაკეთე – 4. ნავალი (ნასიარულევი) – 4. მოკაუჭებული ჯოხი (ან კაუჭი...) – 5. რკოს ჯამისგვარი ბუდე – 15. არის – 3. ? ბლის ხეზე მლოცველი – 2.

აღწერილია, განბანვის ადგილის კულტის მსახურთა რაოდენობა, შესრულებული და შემდგომში გასაკეთებელი სამუშაოების ჩამონათვალი.

ბ) HT 97 b მარტო ერთი სიტყვა წერია

Y 7 7

ბა პა ლა

ბაპალა – პაპალა მღვდლობა, ხუცობა [ქობ. 561].



# HT 117

ა) HT 117 a (Gorila I, 196)

⊖ ⊕ Ⴆ 𐌆 𐌆 + 𐌆 Ⴆ

კა ბა რა ჯა. რუ ფა. ფა ჩხო

Ⴆ 𐌆 𐌆 𐌆 Ⴆ 𐌆 𐌆

ნა ფა. ფა ში 1. ჩხო ლი 1. ყვი

𐌆 𐌆 ⊖ 𐌆 𐌆 𐌆 𐌆

სკი ლე 1. კა ნა 1. ყვი ლე ფა 1.

Ⴆ 𐌆 𐌆

?. ჩხო ნა ბუ

𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆

სკი რა 1. ჯა ე რა 1. ნა ლე რა

𐌆 +

ყვი ფა 10.

Y C 3 3 T 2 0 Y T

ბა ბუ. ყვი ყვი ლე სკი 1. შუ ბა მა

^ T W H T I 3

ლე 1. ლე ჩხო ფა 1. ლე რა ყვი

^ T T +

ლე 1. რუ ლე ფა 1.

HT 117 a ტექსტის სიტყვები:

კაპარაჯა. რუფა. ფაჩხონაფა. ფაში. ჩხოლი. ყვისკილე. კანა. ყვილეფა. ჩხონაბუსკირა. ჯაერა. ნალერა. ყვიფა. ბაბუ. ყვიყვილე-სკი. შუბამალე. ლეჩხოფა. ლერაყვილე. რულეფა

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

კაპარაჯა (ანთროპ. B ხაზ.). რიფა. ფაჩხუა. ფაში. ჩხოლი. ყვისქი-ლი. კანი. ყვილეფე. ჩხონაფილსქუა. ჯაილა. ლარუა. ყვ-. ბაბუ, პაპუ. ყვიყვალი, სკი. შუფამა. რაჩხაფი. ლე-, რიყვალი. რულაფა.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

კაპარაჯა//კაპარაჯა – კაპარაჯა მამაკავის სახელია. B ხაზოვან ტექსტებში გვაქვს მსგავსი ანთროპონიმი: **KA-PA-RI-JO** [Kaz. B., Kaz. II. 174].

რუფა – რიფა დიდ-დიდი [ქობ. 572].

ფაჩხონაფა – ფაჩხაფა//ფაჩხუა მორეკვიტ ნადირობა, ნადირის შეშინება, გარეკვა ჩასაფრებული მონადირეებისკენ [ქობ. 624].

ფაში – ფაში ფაში [ქობ. 623].

ჩხოლი – ჩხოლი ცხოველი [ქობ. 679].

ყვისკილე – **ყვისქილი** ყველაზე უმცროსი შთამომავლობაში; გამრავლების უნარის მქონე უკანასკნელი ჩამომავალი ოჯახისა, გვარისა [ქობ. 651].

კანა//კანი – **კანი** კანი. **კანი** თხელი ტყავი [საბა, I, 351]. შდრ. **კანა** ყანა [ასათ. II, 32].

ყვილევა – **ყვილეფე** ძვლები [კალანდ., II, 54].

ჩხონაბუსკირა//ჩხონაფუსქილა – რთული სიტყვაა, შედგება ორი სიტყვისგან ჩხონაფუ და სქილა. მეგრულში გვაქვს შესატყვისი: **ჩხონაფა** ცხონება, სიცოცხლის მინიჭება, სიცხოველე [ქობ. 679] და **სქილა** შვილიკო. **სქუა** ვაჟიშვილი, ძე, შვილი [ქობ. 598]. **ჩხო-ნაფილსქუა** ცხონებულისშვილი, მამაცხონებული [ქობ, 679].

ჯაერა//ჯაელა – **ჯაალი**//**ჯალი**, (ჯარს) მძევალი; კვერცხი, რომელსაც ტოვებენ საბუდარში [ქაჯ. III. 593, 594]. ტექსტში: მძევალი, საძეო კვერცხი, იგულისხმება გვარის გამგრძელებელი ვაჟი, მემკვიდრე. შდრ. **მონძე** მძევალი [ქობ. 472] და **მონძე**//**მონზე** მემკვიდრე, შთამომავალი [ქაჯ. II. 302].

ნალერა – ნასწორები, გასწორებული, გალარული. **ლარუა** გასწორება, გალარვა, ფიცრის განყოფა; ბლანდვა [ქობ. 379].

ყვიფა//ყვიფუ – იქნება, ძირი ყვ- (იხ. ზემოთ)

ბაბუ – **ბაბუ** ბაბუა. შდრ. B ხაზოვან ტექსტებში ანთროპონიმები, მამაკაცის სახელები: **PA-PU-SO, PA-PA-JO** [Kaz. B., Kaz. II. 185].

ყვიყვილესკი – რთული სიტყვაა, შედგება ორი სიტყვისგან: ყვიყვილე და სკი. მეგრულში გვაქვს შესატყვისები: **ყვიყვი** ჩიყვი. [ქობ. 651] და **სკი**//**სქი** შვილი [ქობ., 595, 598]. -**ლე** სუფიქსი ზოგჯერ კნინობითს აწარმოებს: **მუნჩქვი-ლე** მაჩვ-უნა. [ქაჯ. II. 189]. ყვიყვილესკი ჩიყვიანი შვილი.

შუბამალი – **შუბი** (ქართ.) **შუფი** (მეგრ.) **შუფამ-ი** შუბიანი [ქაჯ. III, 274].

ლექხოფა// რექხოფა – **რაჩხაფი** რაჩხუნი, ჩხარუნი; ჯახი (რქე-ბისა) [ქობ. 570]. ცხოველების ერთმანეთთან შებრძოლება, რქენა უნდა იგულისხმებოდეს.

ლერიყვილე – **რიცვალ-ი** შეცბუნებული, შემკრთალი, დაფეთებული. [ქობ. 572]. **ლე- - ე** ანარმოებს ადგილის სახელებს (იხ. ზემოთ). ლერიყვილე ადგილი, სადაც დაფეთებული (ნადირი) არის.

რულეფა – **რულაფა** რბენინება, ჭენება [ქობ. 574].


HT 117 a ტექსტის შინაარსი:


კაბარაჯა. დიდ-დიდი. მორეკვით ნადირობა. ფაშვი – 1. ცხოველი – 1. ყველაზე უმცროსი შთამომავლობაში (ცხოველი) – 1. თხელი ტყავი – 1. ძვლები – 1. ?. ცხონებულისშვილი – 1. გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე – 1. გასწორებული – 1. იქნება – 10.

ბაბუა. ჩიყვიანი შვილი – 1. შუბიანი – 1. ჯახი (რქებისა) – 1. ადგილი, სადაც დაფეთებული (ნადირი) არის – 1. ჭენება, რბენა – 1.

აღწერილია კაბარაჯა და მისი ოჯახი. ნადირობის დროს შეგროვებული ნადავლი. ცალკე გამოყოფილია და აღწერილია ხანდაზმული ოჯახის წევრის, ბაბუას ქონება და მასთან მცხოვრები პირები.

## MA 1 (Gorila I, 268)

a)   
რე მა ტა ნა. მა. სი ნა ჩხო ფა

b)   
ნა კა. მა. სი ნა ჩხო ფა

c)   
ლე

MA 1 ტექსტის სიტყვები:

რემატანა. მა. სინაჩხოფა. ნაკა. ლე.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

რემატანა (ანთროპ.). მა. სინჩხე, მჩხოფა. ნაკა. ლე.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

რემატანა-რემა (ანთროპ.). B ხაზოვან ტექსტებში გვხვდება მსგავსი ანთროპონიმები: **RA-MO-O**, **RA-MA-JO** [Kaz. B., Kaz. II., 191].

მა – მა მე.

სინაჩხოფა (სი-ნა-ჩხ-ოფ-ა) – **სინჩხე** სიცხე [ქობ., 593], (იხ. ზემოთ).

ნაკა – ნაკა ვრცელი; ნათელი მინდორი; მკაფიო, თვალსაჩინო [ქობ.505].

ლე – ლე//რე არის (იხ.ზემოთ).

MA 1 ტექსტის შინაარსი:

რემატანა. მე. სიცხე. ვრცელი, ნათელი მინდორი. მე. სიცხე არის.

ვინმე რემატანა იტყობინება, რომ (სადღაც) არის ცხელი, ვრცელი, ნათელი მინდორი.

**PK 1 (Gorila I, 280)**

⋈ ? ⚡ ⋈ ⊕ ♀

ფა ? რა ლე 1. ბა ლე 2.

⋈ ♁ ♀ ▽ Ⓒ ⋈

ნა ტა ნა 1. ო ბუ რა 1.

▽ ⋈ ⚡ ⚡ ⊕ ⋈ ♀

ო ლე ჯა 1. ნა ბა ჩხო ნა

♁ ⋈ ⚡ ⚡ Ⓒ

მა ნა 1. ნა ჯა ე 1.

Ⓒ ⋈ ♀ Ⓒ ⋈ ⋈ ⋈ ♀

სკი ნა რი ში 1. ლუ ჩხო 1. რი

Ⓒ ⋈ ⋈ ⋈ ♀ ⋈ ⚡

ში 1. კა ლე ნა მა ჯა 1.

⋈ ⚡ ⋈ ⋈ ⊕ ⋈ Ⓒ

კა ჯა ლე 1. კა ბა მა ბუ 1.

PK 1 ტექსტის სიტყვები:

ფა?რალე. ბალე. ნატანა. ობურა. ოლეჯა. ნაბაჩხონამანა. ნაჯაე. სკინარიში. ლუჩხო. რიში. კალენამაჯა. კაჯალე. კაბამაბუ.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ფაფალერი. ბალი (ქართ.). ნათა. ობორა, აბურა. ორენჯი. ნა-ფარჩხა. ნაჯაო. სკინელი. რეჩხი. რეში. კილა-, განამანჯები, მან-ჯება. კაჯალი. კაბამი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ფა?ფარალე-ამ სიტყვაში მეორე ნიშანი ფირფიტაზე გა-დაშლილია, სავარაუდოდ ბა//ფა უნდა იყოს. **ფაფალერი** დამწვარი, დაფერფლილი [ქობ.623].

ბალე – **ბალი** ბალი (ქართ.).

ნატანა – **ნათა** ნათელი; ნათელა, სახენათელი [ქობ. 504]. ნა-თელი დედა უნდა გულისხმობდეს უმაღლეს ქურუმ ქალს. შდრ. კრეტის მეფე მინოსის მეუღლის სახელი პასიფაე ნიშნავს ყოვლის მანათობელს, ყველას გამნათებელს [გელ. 545].

ობურა – **ობორა** ბოსელი [ქობ.531], **აბურა** ბოსელი, გომი, ბაგა, ვინრო გასავლელი ბაკიდან [ქობ. 7].

ოლეჯა//ორეჯა – **ორენჯი** სამყოფელი, სამყოფლო, ბინა [ქობ. 541].

ნაბაჩხონამანა – ნაბაჩხონამანა//ნაფაჩხონამანა განაფარჩხი, გამეჩხერებული ადგილი. **ნაფარჩხა** განაფარჩხი, გამეჩხერებული; გაფანტული ნადირი, გაცხრილული ტყე (ნადირობისას) [ქობ. 512]. ფაჩხაფა//ფაჩხუა (იხ. ზევით).

ნაჯაე – **ნაჯაო** ნიაღვრისგან მოტანილი შლამის ნარჩენი; ნა-ძირალი (იგივეა, რაც ნაჯა) [ქობ.521].

სკინარიში//სკინალიში – სკნელის, **სკინელი** სკნელი [ქობ. 595]. შდრ. **დინა** მინა, თიხა; სკნელი [ქობ.243].



ლუჩხო//ლეჩხო//რეჩხო – ნიშანი \*Y\* გვხვდება „ლუ“ და „ლე“ მნიშვნელობითაც.

შესაბამისად, გვექნება სიტყვა: ლუჩხო//ლეჩხო: \*Y\* |/, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მინოსელები რ და ლ-ს არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან მივიღებთ: სიტყვას რე ჩ ხ ო, რომლის შესატყვისი მეგრულში არის რეჩხი. **რეჩხი** ნიაღვრისგან მოტანილი ღორღი; ქვალორიანი ადგილი [ქობ.571].

რიში – **რეში** რიოში. **რიოში//რიაში** ზღვის ნარიცი [ქობ.571].

კალენამაჯა – **{გა}ნამანჯები** {გა}ნამართი. **მანჯება** გამართვა; დაწყება [ქაჯ., II, 214-215]. კალე- ზმნისწინის შესატყვისია ზმნისწინი კილა- (ქართულად, გა – , გამო – , შემო-, ჩამო – ზმნისწინები) [ქაჯ.,II,140]. შდრ. **მინჯება//მინჯობა** პატრონობა [ქობ., 450].

კაჯალე – **კაჯალი** მომცრო და ჩაფსკვნილი [ქაჯ. II, 114]. ადამიანის მეტსახელია, როგორც ჩანს, მონის სახელია.

კაბამაბუ – **კაბამი** კაბიანი, კაბოსანი; ქალი(გადატ.) [ქობ.,351].

PK 1 ტექსტის შინაარსი (აღწერილია დამწვარი საკულტო ადგილის ქონება):

დამწვარი – 1. ბალი – 2. ნათელი დედა (უმაღლესი ქურუმი ქალი) – 1. ბოსელი – 1. სამყოფლო, ბინა – 1. განაფარჩხი ადგილი – 1. ნიაღვრისგან მოტანილი შლამის ნარჩენი – 1. სკნელის (მინის) – 1. ნიაღვრისგან მოტანილი ღორღი – 1. ზღვის ნარიცი – 1. განამართი – 1. კაჯალე (მონა) – 1.ქალი – 1.

## ARKH 2 (Gorila III, 6)

ეს ტექსტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შეეხება თევზის მოშენებას.

𐌱 𐌶 𐌶𐌵 𐌶𐌳 𐌶

ფო ლე ჯა. ყვი სკი

𐌶 𐌶𐌵 𐌱 𐌶 𐌶

ლი 5. ნა ფო ლე პა

𐌶 𐌶𐌵 𐌶 𐌶

მა 12. რი ლა ლე

𐌶 𐌶 𐌶

ნა ფა ფა 6.

𐌶 𐌶 𐌶 𐌶

ნა ში შე პა 4. ?

ARKH 2 ტექსტის სიტყვები:

ფოლეჯა. ყვისკილი. ნაფოლეპამა. რილალენაფაფა. ნაშიშეპა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ფორეჯი. ყვისქილი. ნაფორეფი. რულა. ნაშიშებუ.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ფოლეჯა//ფორეჯა – **ფორეჯი//ფორონჯი** ზუთხის მაგვარი თევზია [ქობ. 628].

ყვისქილი – **ყვისქილი** ყველაზე უმცროსი შთამომავლობაში, გამრავლების უნარის მქონე უკანასკნელი ჩამომავალი ოჯახისა [ქობ. 651].

ნაფოლეპამა// ნაფორეფამა – მომდინარეობს სიტყვიდან **ფორუა** დამალვა; დაფარება. **ნაფორეფი** დანაფარი, ანაფარები [ქავ. III. 108]. ამ შემთხვევაში, უნდა ნიშნავდეს დახურულ ჭურჭელში ან რაიმე გამოცალკევებულ, მოფარებულ ადგილას მოთავსებულს.

რილალენაბაფა – ცხენით გადატანილები, ნარბენინები, გადატანილები. რილა-ს შესატყვისია რულა. **რულა** სრბოლა, სირბილი. **რულაფა** რბენინება ჭენება [ქობ. 574]. შდრ. ფუძეების შესატყვისობა: ჭან. **ლირ-**, მეგრ. **ლურ-//რულ-**, ქართ. **ლულ//რულ-**. [ჩიქობ. IV, 297].

ნაშიშება – **ნაშიშებუ** დაავადებული [ქობ. 515].

ARKH 2 ტექსტის შინაარსი:

გამრავლების უნარის მქონე ყველაზე პატარა ფორეჯი არის – 5. დანაფარიანი (ანაფარებიანი) – 12. ნარბენინები, გადატანილები – 6. დაავადებული – 4.

ამ ტექსტის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მინოსელები ენეოდნენ ზუთხისმაგვარი თევზის მოშენებას.

## Za 10A (Gorila III, 168)

ტექსტი რელიგიური ხასიათისაა.

Ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ

ბუ ნა ჯა 2. ლი 1. მა კვი

ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ

ჩხო ნა 1. მა ბუ ნა ჯა 1.

ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ

მა ჩხო ლე ფა 1. მა ტა

ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ

კვი ჩხო ნა 1. ლე მა ბუ

Ⲛ ⲛ ⲛ ⲛ ⲛ

ბუ 1. ტა რა ნა ლე 2.

Za 10A ტექსტის სიტყვები:

ბუნაჯა. ლი. მაკვიჩხონა. მაბუნაჯა. მაჩხოლეფა. მატაკვიჩხონა.  
ლემაბუბუ. ტარანალე.


შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ბუნილი. ლი (სვან.). კვირჩხა, კვირჩხინი. მაბუნალი. მანჩხალარი, ნჩხოლაფა. მეთო-// მითა-// მითო-. ლამება. ტარება, ტალება (ტარ-//ტალ-).

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ბუნაჯა – ზანურისთვის დამახასიათებელი ჯ-რ//ლ ცვლილების გათვალისწინებით, მივიღებთ: ბუნაჯა – ბუნარა – ბუნალა, მისი შესატყვისია სიტყვა ბუნილი. **ბუნილი** გადაღვრილი [ქობ.69].

ლი – **ლი**, **ლიზ** არის (სვან) [თოფ., ქალდ., 934].

მაკვიჩხონა – ამ სიტყვაში ნიშანი  (ყვი//კვი), „კვი“ მარცვლის სახით არის წარმოდგენილი. მეგრულში გვაქვს სიტყვები: **კვირჩხა, კვირჩხალ-ი** მკვირცხლი//გადატ. ფიცხი. **კვირჩხინ-ი** ფიცხოზა; დიდგულობა [ქაჯ. II. 134]. სიტყვაც მ ა - კ ვ ი ჩ ხ ო ნ ა მკვირცხლის მნიშვნელობისა.

მატაკვიჩხონა – მატა- ზმნისწინია, მისი შესატყვისია მეთო-// მითა-// მითო- ზმნისწინი. მეთო-// მითა-// მითო- რთული ზმნისწინია, რომელიც აღნიშნავს მიმართულებას შიგნით, რისამე სიღრმეში (სივრცეში) [ქაჯ. II. 241, 264-265].

მატაკვიჩხონა-მითოკვირჩხინა უნდა გულისხმობდეს მკვირცხლობას სიღრმეში (სივრცეში). ცნობილია, რომ მინოსელებს ჰქონდათ რიტუალი, რომლის დროსაც ადამიანი ახტებოდა ხარს ზურგზე და ტრიალდებოდა ჰაერში. ეს ილეთი ნამდვილად მოითხოვს სიმკვირცხლეს. სიტყვა მატაკვიჩხონა შესაძლოა, აგრეთვე ისეთი სამუშაოს შესრულებასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც სიმკვირცხლეს მოითხოვს.

მაბუნაჯა – **მაბუნალი** მოსასხმელი; გადამღვრელი [ქობ.384].

მაჩხოლეფა – **მანჩხალარი** დამძგერებელი, დამჯახებელი [ქაჯ. III. 406]. **ნჩხოლაფა** შეტაკება, პირში ცემა, რქენა, ჩხვერაობა. შდრ.

ნჩხალაფა (რქებით) შეჯახება, ჩხვერაობა, ძგერება [ქობ. 528]. „ნ“ ფონეტიკური დანართია.

ლემბუბუ – **ლამება** დანამვა, დანოტივება; ლმობა, ზრახვა. **ლამებური** დანამული, დანოტივებული; განზრახული [ქობ.379].

ტარანალე//ტალანალე – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მინ-ოსელები არ განასხვავებდნენ რ და ლ-ს, შესაბამისად, ტარ- ძირთან ერთად უნდა განვიხილოთ ტალ- ძირიც:

1. ტარ- ძირის შესატყვისია ტარ- ძირი:

ა) **ტარება** სახელი ატარენს, იტარებუ(ნ) ზმნათა – ტარება.

ბ) **ტარება** იგივეა, რაც **ტარუა** (სიმინდის) ტაროს გამოტანა. [ქაჯ. III.18].

2. ტალ- ძირის შესატყვისი ტ-ალ- :

**ტალება, ტეება, ტება** სახელი იტალენს//იტე{ე}ნს ზმნათა-დატოვება, გაშვება [ქაჯ.III. 14].

სიტყვაში ტარ-ან-ალე **-ან-**ის შესატყვისია ქართული **-ებ**. ზან. **-ან/-ამ/-აფ**: ქართ. **-ებ** [იხ. ქირია და სხვ. 421-423].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიტყვის ცვლილება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ა) ტარანალე – ტარებული. ბ) ტალ- ძირის შემთხვევაში გვექნება: ტალანალე – ტალეებული შესატყვისი მეგრულში დო-ტალეებული. **დოტალეებული** დატოვებული [ქაჯ. I. 492].

Za 10A ტექსტის შინაარსი:

გადაღვრილი (დაღვრილი შესანირავი) – 2. არის – 1. მკვირ-ცხლი – 1. გადამღვრელი – 1. დამძგერებელი – 1. მკვირცხლობა სიღრმეში, სივრცეში (შესრულებული სამუშაო ან ილეთი) – 1. დანამული – 1. ტარებული (დატოვებული) – 2.

## ZA 10b (Gorila III, 170)

ტექსტი ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია.

𐌆𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆

პა ნა 2. ტა რა ნა ლე

𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆

ლი 5. ფა რი 6. კა ნა 5.

𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆

კა რუ ნა ჯა 5. ბა

𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆

კა 5. მა ნა 4. მა ჩხო

𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆

ბუ 3. ლა ფა რა 2. ლი ე რა 1.

𐌆 𐌆 𐌆 𐌆

ბა ყვი რა ჯა ?.

ZA 10b ტექსტის სიტყვები:

პანა//ფანა. ტარანალელი. ფარი. კანა. კარუნაჯა. ბაკა. მანა. მაჩხოზუ. ლაფარა. ლიერა. ბაყვირაჯა.

შესატყვისი ლაზურ-მაგრულ დიალექტებში:

ფანა. ტარება, ტალეზა (ტარ-//ტალ-). ფარი (ქართ.), ფორი (მეგრ.). კანი (ქართ.). კორინელი. ბაკა. მანა. მაჩხუპერი. რაფალა. ლიარი. ბაყვალა.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

პანა//ფანა – **ფანა** წმინდა, სალოცავი ადგილი; კომლი, კერა [ქობ. 621].

ტარანალელი – დატოვებულია. **დოტალეზული** დატოვებული [ქაჯ. I. 492] (იხ. ზემოთ). **-ლი** ნაწილაკის შესატყვისია ქართული **-ლა** (იხ. ზემოთ).

ფარი – **ფარი** (ქართ.), მეგრულში გვაქვს ფ ო რ ი. **ფორი** ფარი, საფარი; კუს ბაკანი [ქობ. 628].

კანა//კანი – **კანი** თხელი ტყავი [საბა. I. 351].

კარუნაჯა – ძირია კარ-, რომლის შესატყვისია კორ- ძირი (მეგ., ქან.), **კორინი** სურვილი, ნდომა, ვნება [ქობ. 373]. ჯ-რ, რ//ლ და უ-ი ცვლილებათა გათვალისწინებით გვექნება:

კარუნაჯა – კარინარა-კორინალა, მისი შესატყვისია კორინელი. **კორინელი** სასურველი [ქობ. 373].

ბაკა – **ბაკა** ბაკანი; რქოვანი საფარველი [ქობ. 55].

მანა – **მანა** ცხაური, გალია [ქობ. 388].

მაჩხოზუ – **მაჩხუპერი** მოჩხუბარი, მეომარი. **ჩხუბი//ჩხუპი** ჩხუბი, ომი, ბრძოლა [ქობ. 397]. ამ შემთხვევაში მეომარი, მოჩხუბარი უნდა დაკავშირებული იყოს რელიგიურ რიტუალთან.



ლაფარა – **რაფალა** როხროხა, მყეფარი [ქობ.569].

ლიერა – **ლიარი** ტალღების კვალშერჩენილი ლამი [ქობ. 381].  
ლამს ნიადაგის განოციერებისთვის იყენებენ.

ბაყვირაჯა//ბაყვილაჯა – ბლაცუნა (ადამიანი), სავარაუდოდ, მონის სახელი უნდა იყოს. **ბაყვალი** მსუქანი ადამიანის სირბილი ბაყბაცს რომ გამოსცემს ისე; ბლაცუნი [ქაჯ. I. 228].

ZA 10b ტექსტის შინაარსი:

წმინდა, სალოცავი ადგილი – 2. დატოვებულია – 5. ფარი – 6.  
თხელი ტყავი – 5. სასურველი – 5. ბაკანი – 5. ცხაური – 4. მეომარი  
– 3. მყეფარი – 2. ტალღების კვალშერჩენილი ლამი – 1. ბლაცუნა  
(მონა) – ?

**Za 15a (Gorila III, 182)**

⊗ Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ

მა ყვი ნა ბა ღი.

⊙ Ⴕ Ⴕ Ⴕ

სი ფა რი ნა 57.

Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ

მა ლე ლუ ბა 10. ლა ღი

Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ

ჩხო ნა ლე 3. ნა ფა კა

Ⴕ

რა 6.?

Ⴕ Ⴕ Ⴕ ? Ⴕ Ⴕ

ე ბა გა 5. ? ჩხო ლე

Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ Ⴕ

ნა 4. მა ფუ კა ლე 5.

ა) Za 15a ტექსტის სიტყვები:

მაყვინაბალი. სიფარინა. მალელუბა. ლალიჩხონალე. ნაფაკარა. ებაგა. ჴჩხოლენა. მაფუკალე.

შესატყვისი ლაზურ-მაგრულ დიალექტებში:

მოყვანება, -ლა. საფორანო. ლელა. ლა-//ნა-, გოჩხანაფილი. ნა-ფეკარა. აბოგუ. ფუჩხოლირი. მოფურკალი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

მაყვინაბალი – **მოყვანება** მოყვანება, საყვანედ მომზადება ადგილისა [ქობ. 481]. -ლი ნაწილაკის შესატყვისია ქართულში ლა (იხ. ზემოთ).

სიფარინა – **საფორანო** უღრან ტყეში სატარებელი ურემი; საფორნე ცხენი [ქობ. 586].

მალელუბა – მარწველი, ის ვინც არწევს. **ლელა** რწევა [თანდ.396].

ლალიჩხონალე – ლა- პრეფიქსია. **ლა-** პრეფიქსი(სვან.)= **ნა-** პრეფიქსს (ქართ.) [იხ. თოფ.91]. ამ სიტყვაში ადგილი აქვს ღ-გ ცვლილებას, ისევე როგორც, მაგალითად შემდეგ სიტყვაში: გურ-გულამს//ღურღულაფს [თანდ.185, 814] მაშასადამე, გვექნება: ლალიჩხონალე-ნაგიჩხონალე-ნაგოჩხანალი აღნიშნავს გამზევებულს. **გოჩხანაფა** გამოდარება, გამზევება. **გოჩხანაფილი** გამოდარებული, გამზევებული [ქობ. 209].

ნაფაკარა – **ნაფეკარა** საახოედ გადამწვარი [ქობ. 512]. **ფეკარუა** გადანვა, მოჭვარვა; ახოს აღება (გ. ელიავა) [ქაჯ. III. 93]. შდრ. **ფარკუა, გილაფარკუა** ბოლება თამბაქოსი [ქაჯ. III. 86].

ებაგა – დაბეგვა. **ე-** ზმნისწინია, **ბაგუა** მაგრად ცემა, ბეგვა [ქაჯ. I. 210 ]. შდრ. **ბოგუა** 1. ბოგირის გადება; გაბოგვა. 2. ბაგის დაგება [ქაჯ. I. 249].

?ჩხოლენა – ამ სიტყვაში პირველი ნიშანი არ ჩანს, დაზიანებულია. სავარაუდოდ, მარცვალი „ფუ“ უნდა იყოს. მაშინ შესატყვისი იქნება **ფუჩხოლირი** დამსხვრეული, დაფშვნილი [ქობ.630].

მაფუკალე – **მაფურკალი** მბოლავი.; მკმეველი [ქობ. 394]. **ფურკუა** ბოლვა; კმევა [ქობ. 630].

Za 15a ტექსტის შინაარსი:

საყანედ ადგილის მომზადება. ულრან ტყეში სატარებელი ურემი ან საფორნე ცხენი – 57. მრწველი – 10. გამზევებული – 3. საახოდე გადამწვარი – 6. ?. დაბეგვა – 5. დაფშვნილი – 4. მბოლავი; მკმეველი – 5.

## Za 20 (Gorila III, 192)

ტექსტი ნანილობრივ დაზიანებულია. წარწერა მხოლოდ მცირე ადგილზეა შემორჩენილი, თუმცა მაინც საინტერესოა.

† † †

? ფა ჯა რი 1.

† † † † † † † †

ფა რი 6. ჯა ლა 12. ნა კა ბუ ლე 3.

† †

ყვი სკი 130.

Za 20 ტექსტის სიტყვები:

ფაჯარი. ფარი. ჯალა. ნაკაბულე. ყვისკი.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ბაჯარი (მეგრ), ფანჯარა (იმერ.), ფარი (ქართ.), ფორი (მეგრ).  
ჯალა. კარბა. ყვისქი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ფაჯარი//ბაჯარი – **ბაჯარი** (მეგრ.) ბოტან. შალაფა [ქაჯ. I. 231].  
**ფანჯარა** (იმერ.) შალაფა, *Sorghum halepense* [მაყაშ. 79]. სარეველა  
მცენარეა.

ფარი – **ფარი** (ქართ.). **ფორი** ფარი, საფარი; კუს ბაკანი [ქობ. 628]. ტექსტში ფარი საფარის მნიშვნელობით არის გამოყენებული.

ჯალა – **ჯალა-ჩქონი** ხე-ბუჩქნარი; ტყიანი კუნძულიკა მდინარეში [ქობ.734].

ნაკაბულე – **კარბა** ტოტის ნაჭერი მინაში ჩარგული ფესვისთვის, **კარბაფონა** სანერგე [თანდ.361]. ნაკაბულე-ნაკარბულე ადგილი, სადაც ფესვებთან კარბა(ტოტის ნაჭერი) არის ჩარგული.

ყვისკი – **ყვისქი** ფესვი; თესლი [ქობ. 651].

Za 20 ტექსტის შინაარსი:

შალაფა – 1. საფარი – 6. ხე ან ტყიანი კუნძულიკა მდინარეში – 12. ადგილი, სადაც ფესვებთან კარბა არის ჩარგული – 3. ფესვი (თესლი) – 130.

## APZA 1 ( Gorila IV, 2 )

მ ც რ მ ლ ე ფ ა ე

ე ბუ მა ლე ფა ე

ებუმალეფაე – ებუმა ამოსხმა. ბუნა//ბუმა სხმა, ღვრა [ქაჯ.I, 263]. ებუნილი ამოღებული წყალი (წყაროდან), შდრ. ებუნა წყლის ამოღება, ამოსხმა (წყაროდან) [ქობ.266]. წარწერა გაკეთებულია მსხვერპლთშენიწვის მაგიდაზე.

## KO Za 1 (Gorila IV, 18)

ტექსტი, მართკუთხა საძირკველზეა ამოტვიფრული. ოთხივე გვერდზე არის წარწერებული გაკეთებული:

a) ✱ C Ⴛ 𐌸 𐌹 𐌺

ნა ბუ მა ლე პა ე

b) 𐌶 Ⴛ Ⴜ 𐌸 𐌹 𐌺 𐌻

რი ნა ბა. ტა ლა ლე. მა ლე

c) ✱ Ⴛ 𐌶 𐌸 𐌹 𐌺

ნა. ფა ნა ბა ნა ფა. მა

d) 𐌶 𐌸 𐌹 𐌺 𐌻

ბუ ნა კა. ფა ნა ჯა

KO Za 1 ტექსტი:

ნაბუმაღეპაე. რინაბა//ლინაფა. ტალაღე//ტალარე. მალენა. ფანაბანაფა. მაბუნაკა. ფანაჯა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ნაბუმა, რინაფა (ან ლინაფა). ტალარი. მალენა (ან მოლინა). ფანა, ბანება. მაბუნალი. ფანაჯა (ანთროპ.).



სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნაბუმალეპაე//ზაბუმალეფაე – (შესანიშნავების) ნასხამი (იხ. ზემოთ).

რინაბა//ლინაფა – **ლინაფა**(ლინუა) გავლა, გატარება. **რინაფა** დაყენება [ქაჯ. II. 194-195, 528].

ტალალე//ტალარე – **ტალარი** ტრიალი; დიდი; მწვანე ველი; ნასვენე; მიშვეებული მინდორი. **ტალერი** ვრცელი, მიშვეებული [ქობ. 600].

მალენა – **მალენა** მორის ასალები ხელსაწყო ან ჯოხი. [თანდ. 407]. **მოლინა** მორონიება, მოტარება [ქობ. 470].

ფანაბანაფა – რთული სიტყვაა, შედგება ორი კომპონენტისგან; **ფანა** წმინდა სალოცავი ადგილი; კომლი, კერა [ქობ. 621] და ბანაფა. **ბანაფა** – **ბანება** დაბანის ქმნა [ქართ. საბა. I. 94]. შდრ. **ბონუა** დაბანა. **ბონილი** დაბანილი, განბანილი, გათანაბრებული [მეგრ. ქობ. 65]. ფ ა ნ ა - ბ ა ნ ა ფ ა განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი.

მაბუნაკა – **მაბუნალი** მოსასხმელი; გადამღვრელი [ქობ. 384].

ფანაჯა//პანაჯა – ანთროპონიმია, მსგავსი სახელი გვხვდება B ხაზოვან ტექსტებშიც: **A-PA-NI-JO** [Kaz. B., Kaz. II. 163].

KO Za 1 ტექსტის შინაარსი:

(შესანიშნავების) ნასხამი. გადანასხმის დაყენება (კალაპოტში მოქცევა ან გადასხამულის გატარება – თავისუფალ დინებაზე მიშვეება). დიდი (ან მიშვეებული). მალენა (ან მოტარება). განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი. გადამღვრელი. ფანაჯა.

ტექსტში გადმოცემულია, ვინმე ფანაჯას მიერ აღწერილი, რელიგიური რიტუალის პროცესი. რალაც სითხის გადასხმის პროცესი (სავარაუდოდ, ხელსაწყოს გამოყენებით).

## TL Za 1 ( Gorila IV, 58)

ნარწერა გაკეთებულია თასზე.

ჩ ც რ მ ლ ე პ ა ე ნ ა შ ი ლ ე რ ა ე ბ ა ბ ა ს კ ი ?

ნ ა ბ უ მ ა ლ ე პ ა ე . ნ ა შ ი ლ ე რ ა . ე ბ ა ბ ა ს კ ი ? .

ა ო ო

ფ ა ნ ა ბ ა ?

TL Za 1 ტექსტის სიტყვები:

ნაბუმალეპაე. ნაშილერა. ე ბაბასკი?//პაპასკი? ფანაბა?

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ნაბუმა. ნაშირა. ე, პაპასკირი. ფანაბანაფა.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნაბუმალეპაე//ნაბუმალეფაე – (შესანიშნავების) ნასხამი. ადგილი, სადაც რიტუალური სხმა, ღვრა ხდებოდა. **ბუმა//ბუნა** – სხმა, ღვრა, გადაქცევა, **ნაბუმა** გადანასხამი [ქაჯ. I, 263].

ნაშილერა – **ნაშირა** ნაცვეთი [ქობ. 515]. შდრ. **ნაშილა** გახედნილი, განვრთნილი; დართული (ზაფი), ნაქსოვი [ქობ. 515]. ნარწერა გაკეთებულია სარიტუალო მაგიდაზე შესაბამისად, მართებული იქნება თუ ჩავთვლით სიტყვის ნაშილერა-ს შესატყვისად ნაშირა-ს.

ე ბაბასკი?//ე პაპასკი? – ბოლო ნიშანი არ ჩანს კარგად, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ან „რი“ ან „ლა“ იქნება. **სკირი** ძე; შვილი. **სკი//სქი** შვილი, ნაგრამი [ქობ. 595, 598]. **სქილა** შვილიკო [ქობ. 598]. **პაპასქირი** მღვდლის შვილი [ქობ., 561]. **ე** შეკვეცილი ჩვენებითი ნაცვალსახელი ეს [ქაჯ. I. 525].

ფანაბა? – სიტყვა მთლიანად არ ჩანს. სავარაუდოდ ფანაბანაფა უნდა იყოს. ფანაბანაფა განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი. (იხ. ზემოთ).

TL Za 1 ტექსტის შინაარსი:

(შესაწირავების) ნასხამი. გაცვეთილი. ეს მღვდლის შვილი. განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი. ?

### ZA Zb 3 ( Gorila IV, 112)

ტექსტი:

ნა ზე ზე ბა ლე. ნა ბა გა რა. ნა ლე.

ლი 32. ფი ფი ბა ლე. ნა ბა გა რა. ნა ლე.

ნა ბუ მა ლე ნა ბა. ნა ლა ბუ ლა ნა. ლე ლე ყვი

ნა ბუ მა ლე ნა ბა. ნა ლა ბუ ლა ნა. ლე ლე ყვი

ZA Zb 3 ტექსტის სიტყვები:

ლი. ფიფიბაღე. ნაბაგარა. ნაღე. ნაბუმალენაბა. ნალაბულანა.  
ლეღეყვი.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ილი. ფაფაფილი. ნაბაგი, ნაბაგური. ნალი. ნაბუმა. ნალიბორე-  
ბუ. ნანმენდი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ლი – ილი ნაიღე (იხ. ზემოთ).

ფიფიბაღე//ფიფიფაღე – ფაფაფილი ატივტივებული [ქობ.  
623].

ნაბაგარა – **ნაბაგი, ნაბაგური** საქონლის ბაგიდან შეგროვებული საკვების ნარჩენი [ზედ..220]. შდრ. **ნაბაგუ** ნაბაგარი [ქობ. 502].

ნალე – **ნალი** ნავალი; კვალი. [ქობ.506].

ნაბუმალენაბა – **ნაბუმა** გადანასხამი. **ბუმა//ბუნა** - სხმა, ღვრა, გადაქცევა [ქაჯ. I. 263].

ნალაბულანა – სიტყვის ძირია ლაბ- მისი შესატყვისია ლაბ-//ლიბ- ძირები. შდრ. ქართულ \*ლაბ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური ლობ- (ლიბ-<\* ლუბ-< ლობ-, ჩიქობავა 1938, 303) და მეგრული ლიბ- (<\*ლუბ- <\* ლობ-, იხ. ჩიქობავა 1938, 303) [ჰეინრ. 300]. **ნალიბორებუ** ნალბობი [ქობ. 506].

ლელეყვი – **ლე-** პრეფიქსია (იხ. ზემოთ). **ლეყვი** ძალიან წმინდა. **წმინდა** წმინდა [ქაჯ. III. 415]. სიტყვები: ლეყვი და წმინდა თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობისა. **ლე-// ნე-, ლა-//ნა-** (თოფ. 83-92). სიტყვა ლელეყვის ცვლილება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ლელეყვი – ნელეყვი – ნენიწმინდა – ნაწმინდა. **ნაწმინდა** ნაწმენდი [ქობ. 518]. **ნაწმენდი** ხორბლეულისგან ამორჩეული ხარჯი ფშუტი მარცვლები, მიწა და ბზის ნარჩენები [ზედ. 225].

ZA Zb 3 ტექსტის შინაარსი:

ნაილე 32. ატივტივებული. ნაბაგარი. ნავალი. გადანასხამი. ნალბობი. ნაწმენდი.

საქონლის ბაგიდან აღებული ატივტივებული ნარჩენები დაამუშავეს, გადაასხეს ზედმეტი სითხე და დარჩა დამბალი ნაწმენდი: საქონლის ბაგიდან აღებული, მარცვლეულ გამოცალკეებულ ჩალის, ფშუტი მარცვლების და ა. შ. ნარჩენი.



2) ნარბენი – სიტყვის ძირი: -**ნ'კაპ**- [ასათ. II.107]. **ნონკაპინე** ნარბენი [თანდ.578]. ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ამავე ტექსტში გამოყენებულია შესაბამისი მნიშვნელობის სხვა სიტყვა: ნარულეფი (ნარბენი).

3) ნაკაპაფა//ნაკაფაფა – სიტყვის ძირები: კაპ-//კაფ-. კაფ- ძირი ქართულია. **ნაკაფი** გაკაფული. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაკაპაფა-ს შესატყვისია ნაკაფები, ნაკაფი.

ბალუეჩხო – ბლის დღე. **-ჩხო** არის სუფიქსი. სუფიქსი **-ჩხა** ლაზურ დიალექტში ემატება კვირიის დღეებს. მაგალითად, ბჟაჩხა (მზის დღე, კვირა), თუთაჩხა (მთვარის დღე, ორშაბათი). მეგრულ დიალექტში **-ჩხა**-ს მაგივრად გვაქვს **-შხა**: ბჟაშხა, თუთაშხა და ა. შ. ბალ- ძირის შესატყვისია ბალ-ი (ქართ.) ბულ-ი (მეგრ.). შდრ. **ბულობა** ბლობა, ბლის მნიშვნობის ჟამი; ივნისი. **ბულიშ ჯა** ბლის ხე სალოცავი საკრალური ხეა, ხე-ღვთაება [ქობ. 68].

მაე – ანთროპონიმი. შდრ. **A-ME-A** ანთროპ. B ხაზ. [Kaz. B., Kaz. II. 162].

ნარულეფალე – **რულაფა** რბენა, ჭენება. **ნარულაფი** ნარბენი.

ნაბუნა – **ნაბუნა** გადაღვრილი [ქობ. 503]. გადაღვრილი დაკავშირებულია რელიგიურ რიტუალთან.

CR (?) Zf 1 ტექსტის შინაარსი:

ნაკაფი (ადგილი). ბლის დღე. მაე. ნარბენი. გადაღვრილი.

ოქროს სარჭზე გაკეთებული ნარწერა გვამცნობს, რომ მისმა მფლობელმა სახელად მაემ, სალოცავი და საკრალური ბლის ხის დღეს შეესრულა რიტუალი, დაღვარა შესანირავი.

## KN Zf 13 ( Gorila IV, 152)

ტექსტი ბეჭედზეა გამოსახული.

Ⲙ ⲡ ⲥ Ⲧ Ⲡ ⲡ ⲧ Ⲩ ⲩ Ⲫ ⲫ Ⲭ ⲭ

ნ ა რ ა ლ ა ფ ა ფ ი ლ ე ბ უ ფ ო ლ ი ე

Ⲛ ⲛ ⲏ Ⲑ ⲑ Ⲓ ⲓ Ⲕ ⲕ Ⲍ ⲍ

ბ უ ლ ა ლ ე ჯ ა ლ ა გ ა ნ ა ე ყ ვ ი

KN Zf 13 ტექსტი:

ნარალაფაფი. ლებუფოლიე. ბულა. ლეჯალაგანაე ყვი.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

რალაფა. ბაპ (სვან.), პაპალა. ბულა. ჯალაგუა. ყვი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნარალაფაფი – ნაბრძოლი. **რალაფა** შეტევა [ფიფ. 38]. **შეტევა** ჯარის ნაწილების ბრძოლით წინსვლა (თავდაცვაში მყოფი) მტრის საიერიშოდ [ქეგლ. VII. 1168].

ლებუფოლიე (ლე-ბუფ-ოლ-ი-ე) – სახუცობო (ადგილი). ბუფ-// ბუპ-//ბაპ-, **ბაპ** მღვდელი (სვან.) [თოფ., ქალდ. 291] **პაპ-ა** მღვდელი, ხუცესი. **პაპალა** მღვდლობა, ხუცობა, სამღვდელოება [ქობ. 561].



ბუფოლი-ს შესატყვისია პაპალა. ლე- პრეფიქსი -ე სუფიქსთან ერთად აწარმოებენ ტოპონიმებს (იხ. ზემოთ).

ბულა – **ბულა** ბლის ხეზე (საკრალური ხე იყო) მლოცველი, [ქობ. 68].

ლეჯალაგანაე – **ჯალაგუა** ძირფესვიანად ამოთხრა, მიწასთან გასწორება, რბევა [ქობ. 734]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლე-ე ტოპონიმს აწარმოებს. ლეჯალაგანაე ნიშნავს ძირფესვიანად მოთხრილ, დარბეულ ადგილს.

ყვი – **ყვი** გააკეთე [Map. 64].

KN Zf 13 ტექსტის შინაარსი:

ნაბრძოლი. სახუცობო ადგილი. ბლის ხეზე მლოცველი. ძირფესვიანად მოთხრილი, დარბეული ადგილი. გააკეთე.

ბეჭედზე ამოტიფრულია მფლობელის დამსახურებები. ის იყო მეომარი, რომელიც ბრძოლით მიიწვედა წინ მტრის გასაწადგურებლად. ამავე დროს იყო რელიგიურიც და ღვთისმოშიშიც, ლოცულობდა საკრალურ ბლის ხეზე. ჯილდოდ გადასცეს სახუცობო (ადგილი) და მტრისგან განმედილი ადგილსამყოფელი, რასაც ადასტურებს ბეჭედზე გაკეთებული წარწერა.



ნაპაპუ – **ნაპაპუ** ნახუცარი, ბერთა ნადგომი [ქობ. 508].

ჯაშინალეფომა – **ჯაში** მალლარი ვაზი [ქობ. 735]. ჯაშანალე-  
ფომა ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი მალლარი ვაზია.

ნალესკი – ლეშკი//ლეშკი. **ლეშკი** ბაგე, ტუჩი; პირი [კალანდ. I.39]. ნალესკი – ნალეშკი აღნიშნავს ნაპირს. **ნაპირი** ზღვის ან მდინარის უშუალო მახლობლობაში არსებული ადგილები (ქვეყნები, ქალაქები) ან რისამე გარეთა, უკიდურესი ნაწილი [ქეგლ.V. 1351]. დღევანდელი ლეჩხუმი არ მოიცავს უშუალოდ ზღვის სიახლოვეს მყოფ ტერიტორიებს, თუმცა მდინარეები არის. სულხან-საბას განმარტებით: „ზოგად ყოველთა კიდეთა სახელი არს ნაპირი“ [საბა., I. 575]. სიტყვაში ნ ა ლ ე ს კ ი იგულისხმება გარეთა, უკიდურესი ნაწილი ან ზღვის, მდინარის უშუალო სიახლოვეს მდებარე ადგილი. თუმცა გასათვალისწინებელია, ის რომ ამ სიტყვის წინ ტექსტი და-ზიანებულია და არ იკითხება.

ლეპიჯალელე – **პიჯალა** პირობა, პირის შეკვრა, შეთანხმება. [ქობ. 564]. ლე- პრეფიქსი -ე სუფიქსთან ერთად ტოპონიმს აწარ-  
მოებს. ლეპიჯალალე ნიშნავს ადგილს, სადაც პირობიანი, პატიო-  
სანი ხალხი ცხოვრობს. ხალხი, რომელიც ყოველთვის ასრულებს  
დადებულ პირობას. შდრ. **PI-JA-MU-NU, PI-JA-SI-RO, PI-JA-SE-  
ME**, ანთროპ., B ხაზ. [Kaz. B., Kaz. II. 187].

ბუბანა – ანთროპონიმი. შდრ. **PA-PA-JO, PA-PA-RO, PA-PU-SO**  
ანთროპ., B ხაზ. [Kaz. B., Kaz. II. 185].

ბუჯამაფონარა – **ბუჯა//ბუჯალია** თვინიერი, უწყინარი, აუჩ-  
ქარებელი; ბიძა (ბაღლის ენაზე); ჩაფსკენილი [ქობ. 71]. შდრ. **ბურ-  
ჯანა** მეშფოთარი, მეომარი [ქობ. 70]. ბუჯამაფონარა ადგილია, სა-  
დაც უწყინარი, აუჩქარებელი ხალხი ცხოვრობს.

KN Zf 31 ტექსტის შინაარსი:

მინა მრავალი. ლეჩხუმის შვილი, ნახუცარი (ადგილი). ადგილი,  
სადაც ბევრი მალლარი ვაზია. ? ნაპირი. ადგილი, სადაც პირობიანი  
ხალხი ცხოვრობს. ბუბანა. ადგილი, სადაც უწყინარი, აუჩქარებელი  
ხალხი ცხოვრობს. ?

## KO (?) Zf 2 (Gorila IV, 158)

A ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული შემდეგი ტექსტი:

⊕ 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒

ნა სკი შუ ყვი ლე პა ბა პა კა ფა

𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒 𐌒

ლე ბუ ნა რა ლუ ნა

KO (?) Zf 2 ტექსტის სიტყვები:

ნასკიშუ. ყვილეპა. ბაპა. კაფა. ლებუნარალუნა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

სკიში. ყვილეფე. პაპა. კაფა. ლაბუ.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნასკიშუ – ადგილის სახელია. შდრ. **ნასქუუ** ნაშვილევი; შვილ-ნაყოლი [ქაჯ. II. 365]. სკიში იხ. სკირი, **სკირი** ვაჯიშვილი [თანდ. 739].

ყვილეპა//ყვილეფა – **ყვილეფე** ძვლები. არც ამ ტექსტში და არც სხვაგან არ არის ნახსენები რა სახის ძვლებზეა საუბარი. მინოსურ არტიფაქტებს შორის გვხვდება ცხოველის ძვლისგან გაკეთებული სხვადასხვა ნივთი.

ბაპა//პაპა – ბაპ მღვდელი (სვან) [თოფ., ქალდ. 291]. პაპა მღვდელი (ლაზ., მეგრ.).

კაფა – კაფა გამხდარი [ქაჯ. II. 112]. შესაძლოა ანთროპონიმიც იყოს.

ღებუნარალუნა – ლაბუ ლაბო, ჯიუტი, მთხოვნელი [ქაჯ. III. 163].

KO (?) Zf 2 ტექსტის შინაარსი:

ნასკიშუ (ადგილი). ძვლები. კულტის მსახური. გამხდარი. ლაბოსნაირი (ჯიუტი, მთხოვნელი).

ტექსტი იმით არის საინტერესო, რომ მინოსური ეპოქის კულტის მსახურის დახასიათებას იძლევა.



ბუფალურინა – ბუფ-// ბუპ-ბაპ-, **ბაპ** მღვდელი (სვან.). **პაპ-ა** მღვდელი (ლაზ., მეგრ.) (იხ., ზემოთ). ბუფალური იგივე, რაც პაპალური. **პაპალური** ხუცური; ხუცთა წარმოსათქმელი, გაუგებარი ენა [ქობ.561]

ლუფალუ//რუფალუ – **რუფილი** ხარბად ნასვამი, დანალევი. **რუფუა** ხარბად სმა [ქობ.,574]. ხარბად სმა დაკავშირებულია რელიგიურ რიტუალთან. მსგავსი რიტუალი არსებობდა ძველ საბერძნეთში. დიონისეს დღესასწაულების დროს იმართებოდა სმაში შეჯიბრი და სმაში გამარჯვებული იღებდა ჯილდოს.

PI Zf 1 ტექსტის შინაარსი:

საძეოდ დანატოვარი (ან ნატყევარი ადგილი). ფასილე. ეს მღვდლის შვილიკო. ხუცური ენის მცოდნე. ხარბად მსმელი (ნასვამი).

ვერცხლის სარჭზე გაკეთებული წინამდებარე ტექსტი გვამცნობს, რომ მისი მფლობელია ფასილე, მღვდლის შვილი, ხუცური ენის მცოდნე, კარგი მსმელი კაცი.

## IO Za 2 (Gorila V, 18)

KO Za 1 ტექსტის მსგავსია IO Za 2 წარწერა, რომელიც გაკეთებულია მსხვერპლთშენიერვის მაგიდაზე. წარწერა გაკეთებულია ორ რიგად გვერდებზე ზემოთ და ქვემოთ.

ზემოთ ოთხივე გვერდზე გათებული წარწერა შემდეგია:



ნა ბუ მა ლე პა ე ე პი რუ ლი.?. მა ბუ ნა კა.

ქვემოთ ოთხივე გვერდზე გათებული წარწერა შემდეგია:



ფა ნა ჯა. ბუ ნა სკი ჯა ფა ლე ფა. ?

IO Za 2 ტექსტის სიტყვები:

ნაბუმალეპაე. ეპირული. მაბუნაკა. ფანაჯა. ბუნასკიჯაფალეფა.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ნაბუმა. გოპირელი, პირელი. მაბუნალი. ფანაჯა (ანთროპ.).  
ბუნა, სქირაფილი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნაბუმალეპაე – (შესაწირავების) ნასხამი (იხ. ზემოთ).



ეპირური – **გოპირელი** აყვავილებული, გაფურჩქნული [ქობ. 194].  
**პირელი** გაფურჩქნული, აყვავილებული, კვირტგამოსხმული. **პირუა** 1) კვირტის სხმა, გაფურჩქნა, აყვავილება. 2) პირვა, **მოპირვა** (ცულის, თოხის, ნამგლის...) [ქაჯ. II. 485].

მაბუნაკა – **მაბუნალი** მოსასხმელი; გადამღვრელი [ქობ. 384].

ფანაჯა//პანაჯა – ანთროპონიმია, შდრ. **A-PA-NI-JO** ანთროპ.,  
B ხაზ. [Kaz. B., Kaz. II. 163].

ბუნასკიჯაფალეფა – რთული სიტყვაა, შედგება ორი სიტყვისგან: ბუნა და სკიჯაფალეფა. **ბუნა** სხმა, ღვრა [ქაჯ. I. 263]. ჯ-რ და კ-ქ (ცვლილებათა გათვალისწინებით მივიღებთ: სკიჯაფალეფა – სკირაფალეფა//სქირაფალეფა, მისი შესატყვისია სიტყვა სქირაფილი. **სქირაფილი** გამშრალი, **სკირაფა**//**სქირაფა** შრობა, ხმობა [ქობ. 598].

IO Za 2 ტექსტის შინაარსი:

ზემოთ: (შესაწირავების) ნასხამი. გაფურჩქნული. ?. გადამღვრელი.

ქვემოთ: ფანაჯა. გამშრალი სხმა, ღვრა. ?

ტექსტიდან ირკვევა, რომ რელიგიური რიტუალის აღსრულება შეწყვეტილა. გამშრალა, სხმის და ღვრის რიტუალი აღარ ხდებოდა. როგორც ჩანს, შემდეგ აღდგენილა რიტუალის ჩატარების პროცესი, გაფურჩქნულა და აყვავილებულა.

## SY Za 2 (Gorila V, 64)

ტექსტი მსხვერპლთშენიერვის მაგიდაზეა გაკეთებული:



ნა ბუ მა ლე პა ე. ე ში კა რი ლე.



? ნა ბა ნა ფა. ნა ე.

SY Za 2 ტექსტის სიტყვები:

ნაბუმალეპაე. ეშეკარილე. ?ნაბანაფა. ნაე.

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ნაბუმა. აშაკილერი//ეშაკირილი. ფანა, ბანება. ნაე (ანთროპ.).

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ნაბუმალეპაე – (შესანიშნავების) ნასხამი. (იხ. ზემოთ).

ეშეკარილი – **აშაკილერი** ჩაჭედილი, ჩაკეტილი [ქობ. 43] ან **ეშაკირილი** კირით ამოლესილი [ქობ. 290]. სიტყვაში ეშეკარილი ეშე- არის ზმნისწინი, შესატყვისი არის ზმნისწინი აშა-, ეშა-. როგორც ფოტოდან ჩანს, მსხვერპლთშენიერვის მაგიდა ჩადგმულია, ჩაჭედილია ოთხკუთხა ფორმის სადგამში. შესატყვისი იქნება **აშაკილერი** ჩაჭედილი, ჩაკეტილი.

? ანაბანაფა – ფანაბანაფა განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი (იხ. ზემოთ).

ნაე – ანთროპონიმია, მსგავსი ანთროპონიმი გვხვდება B ხაზოვან ტექსტებშიც, მამაკაცის სახელი **NO-E-U** [Kaz. B., Kaz. II. 182].

SY Za 2 ტექსტის შინაარსი:

(შესანიშნავების) ნასხამი. ჩაჭედილი. განბანვის წმინდა სალოცავი ადგილი. ნაე.

აღნიშნული მსხვერპლთშენიერვის მაგიდა ეკუთვნის ვინმე ნაე-ს. მაგიდა არის გამორჩეული იმიტომ, რომ ის ჩადგმულია („ჩაჭედილია“) ოთკუთხა ფორმის სადგამში.

## კვიპროს-მონოსუარი (ეტიოკვიპროსული) ნარწერები

ეტიოკვიპროსული ენა ითვლება კვიპროსის მკვიდრი მოსახლეობის ენად, რომელიც გავრცელებული იყო კუნძულზე ბერძნების თუ სხვა ხალხების მოსვლამდე. არსებობს ეტიოკვიპროსულ და ბერძნულ ენაზე შესრულებული ორენოვანი ნარწერა ე. წ. ამათუსის ბილინგვა. იგი და სხვა ეტიოკვიპროსული ნარწერები შესრულებულია კვიპროსული მარცვლოვანი დამწერლობის გამოყენებით, ეს უკანასკნელი გაშიფრულია. შედეგად, შესაძლებელი გახდა ეტიოკვიპროსულ ენაზე შესრულებული უცნობი ტექსტების ნაკითხვა. დაუდგენელი რჩებოდა ამ ტექსტების შინაარსი და ენის წარმომავლობა. ქვემოთ მოცემულია ამათუსის ბილინგვის ეტიოკვიპროსული ტექსტი და მისი შესატყვისი ტექსტი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში.

## ეტეოკვიპროსული ბილინგვა

ამათუსის ბილინგვის ეტეოკვიპროსული ტექსტი:

a-na ma-to-ri u-mi-e-sa-i mu-ku-la-i la-sa- na a-ri-si-to-no-se a-ra  
– to-va-na-ka-so-ko-o-se ke-ra ke-re-tu-lo-se ta ka-na ku?/-no? so-ti  
a-lo ka-i-li po-ti [Xap.255].

ქართული შრიფტით:

ანა მატორი უმიესაი მუკულაი ლასანა არისიტონოსე არატო-  
ვანაკასოკოსე კერა კერეტულოსე ტა კანა კუნო სოტი ალო კაილი  
პოტი

ამათუსის ბილინგვის ბერძნული ტექსტის შინაარსი:

ამათუსის ქალაქის მაცხოვრებლებმა არისტონს კეთილშობილი  
არისტონაკტის შვილს [Xap. 255].

ამათუსის ბილინგვის ეტეოკვიპროსული ტექსტის შესატყვისი  
(სიტყვები, სიტყვათა ფუძეები და ა. შ.) ლაზურ-მეგრულ დიალექ-  
ტებში:

ენა. მატორი (**MA-TA-U-RO** ანთროპ., B ხაზ.). უმოსი. მუკულა,  
მუკულირი. ლაზონა. არისტონი (ანთროპ.). არატოვანაკასოკო (ან-  
თროპ.), -იშე. კერა. კერენტე. ტა. ქანა. კუნა (კინება). სოთი. ალო.  
კაი. პატი.

**სიტყვათა განმარტება და ანალიზი** (ეტეოკვიპროსული სიტყ-  
ვების შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში დამონმებულია  
შესაბამისი წყაროებით):

ანა (a-na) – ენა ეს [ქობ. 280]. შდრ. ინა ის, იგი, ისა [ქობ.324]. მატორი (ma-to-ri) – ანთროპონიმია. მსგავსი სახელი გვხვდება B ხაზოვან ტექსტებში: **MA-TA-U-RO** [Kaz. B.,Kaz. II. 180]. შდრ. სიტყვები: **მათლორე** მოთვალთვალე, მეთვალყურე[ქობ.386]. **თორი** თვალი (იგივეა, რაც თოლი) [ქობ.319]. **მოტოლუა** მეგრულში აღნიშნავს სნორუპოვარს, აღმატებულს, ყველაზე მეტს [ქირია და სხვ. 207] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი სიტყვას მატორი თვლის ამათუსის შესატყვისად, ზოგი თვლის რომ სიტყვა მატორი ნიშნავს ქალაქს, სინამდვილეში ის ანთროპონიმია.

უმისაი (u-mi-e-sa-i) – შესატყვისია **უმოსი**, ვინმეზე მეტი, აღმატებული. **უმოსი** უმეტესი, რაიმეზე (ვინმეზე) მეტი [ქაჯ. III. 62]. შდრ. მი ვინ (მეგრ., ლაზ.). **უ** პრეფიქსი **-აშ(ი)//-შ(ი)** სუფიქსთან ერთად აწარმოებს უფროობითი ხარისხის ფორმებს. [ქაჯ. III. 51]. **უმოსობა** აღმატებულობა, უპირატესობა, მეტობა, უფროობა (**უმონს** სჭარბობს, აღემატება); **უმრავლესობა**, **უმეტესობა** [ქობ. 612].

მუკულიაი (mu-ku-la-i) – **მუკულა** გზად გამოვლა; გასვლა (დრო-ისა). **მუკულირი** გზად გამოვლილი; განვლილი (დრო); გარდასული, წასული [ქობ.491]. შდრ. მუკულა იგივეა, რაც მიკულა [ქაჯ.II. 332].

ლასანა (la-sa- na) – ტოპონიმია. შესატყვისია ლაზონა. **ლაზონა** ლაზეთი [თანდ. 392].

არისიტონოსე (a-ri-si-to-no-se) – არისტონი (ანთროპ.). **-ოსე** სუფიქსია.

არატოვანაკასოკოსე (a-ra-to-va-na-ka-so-ko-o-se) – არატოვანაკასოკო ანთროპონიმია. -ოსე აქაც სუფიქსია. ბილინგვის ბერძნულ ნაწილში ეს სახელი წარმოდგენილია არისტონაკტის-სახით.

**-ოსე** სუფიქსის შესატყვისად შეიძლება განვიხილოთ ორი ვარიანტი:

1. -იშ(ი)//-ში. -იშ(ი)//-ში ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი -ის (ა) [ქაჯ. III. 258].

2. -შე//-იშე რთული თანდებული დაერთვის სახელს და გადმოსცემს: ვისგან, საიდან მოდის ან საითკენ არის მიმართული მოქმედება: ქართულში გადმოიცემა -გან (-ის-გან, -ით-გან//-იდან) ან -კენ თანდებულებით [ქაჯ.III. 244].

როგორც ხედავთ, ანთროპონიმებს არისტონს და არატოვანაკასოკო-ს ორივეს აქვს დართული სუფიქსი -ოსე. ეს დაბოლოება გვხვდება სიტყვაშიც კერეტულოსე (იხ. ქვემოთ):

არისიტონ-ოსე, არატოვანაკასოკო-ოსე, კერეტულ-ოსე, მათი შესატყვისი იქნება შესაბამისად: არისტონ-ის(ა) (ან არისტონ-იდან), არატოვანაკო-ის(ა) (ან არატოვანაკო-იდან), მართალი კაც-ის(ა) (ან მართალი კაც-იდან). თუ ბილინგვის ბერძნულ ნაწილში არატოვანაკასოკო-ოსე-ს იდენტურ ვარიანტად მიიჩნევა არისტონაკტ-ის, მაშინ გაუგებარია არისიტონ-ოსე-ს შესაბამისად რატომ მიიჩნევა არისტონ-ს და არა არისტონ-ის. რადგანაც ორივე სიტყვას, რომლიდანაც ორივე ანთროპონიმია, ერთი და იგივე სუფიქსი აქვს, ის ორივე ერთნაირად უნდა იკითხებოდეს. ბილინგვის ბერძნული ნაწილი უფრო მცირეა და ეტეოკვიპროსულ ტექსტს ზუსტად არ ემთხვევა.

კერა (ke-ra) – შესატყვისია **კერა** (ქართ.). გადატ. ოჯახი, სახლი.

კერეტულოსე (ke-re-tu-lo-se) – შესატყვისია კერენტე. **კერენტე** მართალი, არადამთმობ კაცი, ყველას რომ ერიდება მისი და ანგარიშს უწევენ [ქაჯ.II. 117]. **6** წარმოადგენს: ა) ფონეტიკურ დანართს ზოგიერთი სიტყვის დასწყისში, ბ) ჩანართს ზოგიერთ სიტყვაში: **იმენდი** იმედი (შდრ. **იმედი**) [ქაჯ.II. 345].

ტა ( ta ) – შესატყვისია ტა. **ტა** იყავი [კალანდ. 105].

კანა (ka-na) – შესატყვისია ქანა. **ქანა**//**ქიანა** ქვეყანა, სამყარო; ბერი; ქვეყნის [ქობ.631, 636].

კუ-?ნო-? ( ku?/-no?) – ეს სიტყვა არ ჩანს კარგად. სავარაუდოდ, კუნო-ა. მისი შესატყვისიც გვაქვს ლაზურ-მეგრულ დიალექტებში და ესაა **კინა**, **კუნა**. უ-ო-ი და ო-ა ხმოვანთა მონაცვლეობის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ), სიტყვა კუნო-ს მაგივრად მივიღებთ

შესატყვისს კინა-ს. **კინა//კენა//კუნა** იხ. **კინება** [ქაჯ. II. 143]. **კინება** პყრობა, ჭერა[ქობ. 366].

სოტი (so-ti) – შესატყვისია სოთი. **სოთი** საცა, სადაც [ქობ., 595].

ალო (a-lo) – შესატყვისია ალო. **ალო//ალობა** თავისუფლება, ნებართვა [ქაჯ. I. 183].

კაილი (ka-i-li) – შესატყვისია კაი. **კაი** კარგი. **კაინობა** სიკეთე, სიკარგა [თანდ. 351]. შდრ **კაილეფე** კარგები. კაილეფე-ში **-ეფ** არის მრავლობითის მანარმოებელი სუფიქსი. მაგალითად, **ჯუმა** ძმა, **ჯუმალ-ეფე** ძმები. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის არ. ჩიქობავას აზრით, **ა-**ზე დაბოლოებული ფუძეები მრავლობითში ხშირად აღადგენენ ხოლმე ფუძის ბოლოკიდურ **ლ-**ს, რომელიც მხოლოლობითში არსად ჩანს. [ჩიქობ. III, 79]. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე სიტყვებში: კაი და კაილ-ეფე.

პოტი (po-ti) – შესატყვისია პატი. **პატი** პატივი [ქობ. 562].

ამათუსის ბილინგვის ეტიმოლოგიური ტექსტი ქართულად:

ეს მატორი, აღმატებული (უმეტესი). გამოვლილი ლაზეთი. არისტონისა არატოვანაკასოკოსა. მართალი, არადამთმობი (ყველას რომ ერიდება მისი და ანგარიშს უწევენ) კაცისა ოჯახი. იყავი ქვეყნის (? მპყრობელი), სადაც (იყო) თავისუფლება, სიკეთე, პატივი.



## სხვა ეტიმოლოგიური წარწერები

ქვემოთ მოყვანილია დანარჩენი სამი ფართოდ ცნობილი ეტიმოლოგიური წარწერა [Джоунз, Этеокипрские надписи // Тайны древних письмен. 259]. თითოეულ ეტიმოლოგიურ ტექსტს ახლავს მათი შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში, რომლებიც დამონმეზულია შესაბამისი წყაროებით:

1. vi-ti-le ra-nu ta-na mu-no-ti a-i-lo e-ki ja-no-ti ma-na

ko-/to-u-pa-ra(или ki; или la)-mi ra-nu ta-na mu-/no-ti

ქართული შრიფტით:

ვიტილე რანუ ტანა მუნოტი აილო ეკი ჯანოტი მანა კოტოუპარა  
(ან კი, ან ლა)-მი რანუ ტანა მუნოტი

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ვითული. რანუ (RA-NI ანთროპ., B ხაზ.). ტან. მუნოთ. ყვილ-  
//ყვილ-//ილ-. ეკი. ჯანეტუ, ჯანტუ. მან (მენა). კოტოუპარამი  
(ანთროპ.)

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ვიტილე (vi-ti-le) – შესატყვისია ვითული. **ვითული** ათეული [ქობ.306]. **ვით** (ლაზ.), **ვითი** (მეგრ.) ათი. რიცხვით სახელებში 11-დან 20-მდის ვით ჩვეულებრივ ვიტ-ის სახით წარმოგვდგება [ჩიქობ.

IV, 223]. მაგალითად, **ვიტოარ** თერთმეტი, **ვიტოჟურ** თორმეტი [თანდ. 278].

რანუ (ra-nu) – ამ სიტყვას ორნაირი შესატყვისი და ახსნა მოეპოვება: 1.ანთროპონიმი. ტექსტში ის ათეულის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული. შდრ. RA-NI [B ხაზ., Kaz. B., Kaz. II. 191]. მაშასადამე ტექსტი: ვიტილე რანუ (ვითული რანუ) ასე წაიკითხება: ათეული რანუ.

2. ამავე დროს სიტყვა რანუ-ს შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ **რენ, რენა** არის. -რ- ძირი საერთოა ლაზურ-მეგრულისთვისაც, სვანურის და ქართულისთვისაც. ო-რ-ე-ნ (ჭან.), ო-რ-ე-ნ (მეგრ.). ა-რ-ი-ს (ქართ.), ა-რ- (სვან.) ყოფნა[ჩიქობ. IV.301]. ამ შემთხვევაში ტექსტი ვიტილე რანუ ასე წაიკითხება: ათეული არის.

ტანა (ta-na) – შესატყვისია ტან. **ტან** იყვენენ [კალანდ. 288].

მუნოტი (mu-no-ti) – შესატყვისია მუნოთ. ამ სიტყვას ქობალიას და ქაჯაიას ლექსიკონებში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ: **მუნოთ** შინ [ქობ. 499] და **მუნოთ** თავად, თვითონ [ქაჯ. II. 336]. როგორც ტექსტიდან ჩანს, პირველი ვარიანტი შ ი ნ უნდა იყოს.

აილო (a-i-lo) – ამ სიტყვაში სიტყვის ძირია -ილ-. მისი შესატყვისი ლაზურ დიალექტში არის ძირი -ილ-, ხოლო მეგრულში ცვილ-. **ყვილ-//ცვილ-//ილ-** კვლა [ჩიქობ. IV.343]. აილო-ს შესატყვისია აყვილუ. **აყვილუ** შეძლო მოეკლა [ქაჯ.III. 223]. მეორეს მხრივ, შესატყვისში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ა – ო-ს ცვლილებას, მაშინ აილო-ს მაგივრად შესატყვისში მივიღებთ ოილო-ს. **ოილუ //ოყვილუ** მოკვლა, კვლა, დაკვლა [ასათ. 285].

ეკი (e-ki) – შესატყვისია ეკი. **ეკი** აღმა, ზევით, შლამი, ლექი [ქობ. 270]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე-კა ჭანურში რთულ პრევერბს წარმოადგენს. **ეკიკილუ** მოიკიდა („უკან აიკიდა“), **ეკაჭიშუ** დაენია [ჩიქობ. III, 129, 131] **ეკა-//ეკო-//ოკო-//იკო-**. [ქაჯ.I. 530., II. 84]. **ეკო-** ზმნისწინი, აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას ქვევიდან ზევით; შეესატყვისება აღმო-, ამო-, გამო-, უკნიდან, უკან [ქობ. 272].

ჯანოტი (ja-no-ti) – ამ სიტყვაში ფუძეა ჯან- (jan-), მისი შესატყვისია ჯ-ან-//ჯ-ირ- ძირი. **ჯან-//ჯირ-** დანოლა, ძილი [ჩიქობ. 415, 416]. **ჯანეტუ** ინვა. **ჯანტუ** ინვა [კალანდ. 130].

მანა (MA-NA)- შესატყვისია მან, **მან** მე (ჭან.). შდრ. **მენა** მე (ქართ.) [ჩიქობ. IV.226]. შდრ. აგრეთვე. **მა-ნა** მე რომ [ჩიქობ. III, 161]. **რომ, თუ** კავშირის როლში ჩვეულებრივად **-ნა-**ც იხმარება. ის ენკლიტიკური ნანილაკის მსგავსად მოერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის მათ [იხ.ჩიქობ. III, 190].

კოტოუპარა (ან კი, ან ლა)მი (ko-/to-u-pa-ra(или ki; или la)-mi) – უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე ko-/to-u-ს შესატყვისი სახელი მოგვეპოვება B ხაზოვან ტექსტებშიც კოტეუ – KOTEU [Каз. В.,Каз. И.178]. ამ სიტყვის მსგავსი სიტყვა კოტუი არის ლაზურშიც: **კოტუი //ქოტუპს** დანყობა [koj. Aila].შდრ. **ქით- (ხოფ.), ო-ქით-უ** დანყობა, დალაგება [თანდ.799]. ხოფური ქიტ- მიღებულია ქოტ-ისგან [ჩიქობ. IV, 332]. pa-ra(или ki; или la)-mi -ს შესატყვისი ანთროპონიმებია მაგალითად, PARE, PERIMO, PIRAMENO, B ხაზ. [Каз. В.,Каз. И. 185, 186, 187]. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, ko-/to-u-pa-ra(или ki; или la)-mi ერთი სიტყვაა და ადამიანის სახელია.

### შინაბარსი:

ათეული რანუ იყენენ შინ, შეძლო მოეკლა. ზევით ინვა, მე კოტუიპარამი, რანუ იყენენ შინ. საფლავის წარწერა გვამცნობს, რომ ამ საფლავში, ზემოთ წევს კოტუიპარამი, რომელმაც შეძლო მოეკლა ათეული რანუ.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ლაზურ ტექსტებს ახასიათებთ გარკვეული სინტაქსური თავისებურებანი, რომელიც წინამდებარე ტექსტშიც ვლინდება.

II. a-na ta-si tu-sa e-ki vi-ja-ki ma-na/ a-po-i e-ki ma-ri ma-na tu-mi-ra/ i-mi-ka-ni pu-e-ne-mi-na pa-na-mo/ vo (или ka)-ni-o ta-ra-vi ka-va-li-ja ma-na mi-?

ქართული შრიფტით:

ანა ტასი ტუსა ეკი ვიჯაკი მანა აპოი ეკი მარი მანა ტუმირა იმიკანი პუენემინა პანამო ვო (ან კა)ნიო ტარავი კავალიჯა მანა მი-?

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ენა. ტასი. ტუსა//ტუცა. ეკი. ვაჯალა. მან, მენა. აპოი (A-PA-JE-U, A-PA-U-RO ანთროპ. B ხაზ. ). მალი. ტუმირა (ტოპონ.). იმიკანი (ტოპონ. შდრ. MI-KO-NO ანთროპ. B ხაზ.). პუენემინა( ტოპონ.). პანამო (ტოპონ.). ვანი( ან კონიი//კონი). თარა. კავალიჯა ( KA-WA-RA, KA-WI-JO, ანთროპ. B ხაზ.).

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ანა (a-na) – ენა ეს (იხ. ზემოთ).

ტასი (ta-si) – ტასი თესლი [თანდ.752].

ტუსა (tu-sa) – ტუსა//ტუცა, ტუცა ცხელი [თანდ.761]. იხ. t'usa/ t'us3a [ Koj. – <http://ayla7.free.fr/laz/Laz.T1.html>].

ეკი (e-ki) – ეკი აღმა, ზევით, შლამი, ლექი [იხ. ზემოთ].

ვიჯაკი (vi-ja-ki) - შესატყვისია ვაჯალა. ვაჯალა ყვერებიანი, ვაჯი იხ. კვაჯი. კვაჯი ყვერი [თანდ.276, 370]. შდრ. ვარჯიკი იგივე ერჯაკა//ერჯუკი. ერჯაკა უნლოვანი ვაცი, დაკოდელი ცხვარი [ქობ. 306].

მანა (ma-na) - მა'ნ', მენა მე (იხ. ზემოთ).

აპოი (a-po-i) – ანთროპონიმი. შდრ. ანთროპონიმები: A-PA-JE-U, A-PA-U-RO, B ხაზ. [Kaz. B., Kaz.И.163].

მარი (ma-ri) – მალი მიმდინარე, მდინარი, მავალი, წამსვლელი, წარმავალი [ქობ. 387].

ტუმირა (tu-mi-ra) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია. ტუმა//ტომა//ტობა. ტუმა//ტომა//ტობა ტბა [თანდ.760]. ტობარი ტბელი [ქობ. 603].

იმიკანი (i-mi-ka-ni) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია. მსგავსი ანთროპონიმი MI-KO-NO, ანთროპ., B ხაზ. [ Kaz. B., Kaz.И. 181]. შდრ. მიკონ-მოკონ-ი იგივეა რაც მეკონ-მოკონი და მუ-

**კონ-მოკონი** რალაც-რალაცეები [ქაჯ. II. 243, 332]. **მუკონაი//მუკონარი** რამდენი [თანდ. 544].

პუენემინა (pu-e-ne-mi-na) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია. შდრ. **პუაფა** სახელი პუენს ზმნისა აყვავილება, გაფურჩქვნა [ქაჯ. II. 491].

პანამო (pa-na-mo) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია. შდრ. **პანი** ბატონი (პატონი შემოკლებით) [ქობ. 561].

ვო (ან კა)ნიო (vo (или ka)-ni-o) – **ვანი** რომ [ფიფ. 20]. **კონიი//კონი** ისევ, კვლავ [ქაჯ. II. 156].

ტარავი (ta-ra-vi) – **თარა** უფალი, უზენაესი [იხ. ზემოთ].

კავალიჯა (ka-va-li-ja) – უზენაესის სახელია. შდრ. KA-WA-RA, KA-WI-JO ანთროპ., В ხაზ. [Каз. В., Каз. И. 175].

ქართულად:

ეს თესლი ცხელი ზევით ყვერებიანი. მე აპოი ზევით. მავალი (მოსიარულე) მე ტუმირა, იმიკანი, ფუენემინა, პანამო, რომ უზენაესი კავალიჯა...

წარწერის მიხედვით, საფლავში ზევით განისვენებს აპოი. უზენაესი კავალიჯას კეთილგანწყობა, რომ მოეპოვებინა მან მოიარა ღვთაებათა საკულტო ადგილები, ისეთები, როგორცაა ტუმირა, იმიკანი, ფუენემინა და პანამო.

III. Tu a-li-ra-ni o-i-te tu-tu (или su) ta-le-ja pa-ku-ke a-no-ti ta-so-ti/ a-pu-e-ma o-i-te a-?-ra(или le)-ma ma-na a-so-na tu-ka i-mi-no-na/ a-ja-i-a ko-?-? a-na ta-? a-so-na tu-ka i-mi-no-na/ tu-mi-ra o-i-te i-mi-ka-ni o-i-te ta-ko e-ne-mi-na o-/ i-te ta-ra-vo e-ne-mi-na ?-ti(или ka)-la-va-ka (или ti)-ke mu(или va)-so-ti

ქართული შრიფტით:

ტუ აღირანი ოიტე ტუტუ (ან სუ) ტალეჯა პაკუკე ანოტი ტასოტი აპუემა ოიტე ა?რა(ან ლე)მა მანა ასონა ტუკა იმინონა აჯაია კო? ანა ტა? ასონა ტუკა იმინონა ტუმირა ოიტე იმიკანი ოიტე ტაკო ენ-

ემინა ოიტე ტარავო ენემინა ?ტი(ან კა)ლავაკ(ან ტი)კე მუ (ან ვა) სოტი

შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში:

ტუ. ალირანი (ანთროპ.). იტ-//იდ-// ულ-. ტუტუ. თოლიგე. ფაკუა. ენა, ეთი. ტას-//თას-. აფუნს. მან, მენა. აშონას, აშო-ნა. ტუკა. ი მინონ. აჯაია (ანთროპ.). ტუმირა (ტოპონ.). იმიკანი (ტოპონ.). ტაკო. ენემენა (e-ne-me-na, B ხაზ.). თარა. მუსუთ, მუშოთი.

სიტყვათა განმარტება და ანალიზი:

ტუ (tu) – ტუ იყო [კალანდ.17].

ალირანი (a-li-ra-ni) – ამ სიტყვასთან დაკავშირებით იგივე მდგომარეობა არის, როგორც სიტყვა რანუ-სთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ). მასაც შეიძლება ორი შესატყვისი მოეძებნოს: 1. ალირანი – ანთროპონიმი. 2. ალირან-ის შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვა ალარინა. **ალარინა, ალარენ** გარეთ დგომა, გვერდში დგომა, ხელის გამართვა რაიმე საქმეში [ქაჯ. I. 178]. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ის ანთროპონიმი.

ოიტე (o-i-te) – ამ სიტყვაში ძირია -იტ(- it-), მისი შესატყვისი ლაზურ-მეგრულ დიალექტებში არის **იტ-//იდ-// ულ-. იდ-უ-> იტ-უ; ით-უ** იარა[ასათ.II.74]. შდრ. **გოიტით** დავდიოდი[კალანდ.88]. **ულ-//იდ-** (ჭან. მეგრ.) სვლა [ჩიქობ. IV, 270].

ტუტუ (ან სუ) (tu-tu/или su) – **ტუტუ** შეუბუბლავი (ყრმის სალაღობო სახელი) [ქობ.605]. ტუსუ (იხ. ზემოთ). ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ტუტუ უნდა იყოს და არა ტუსუ.

ტალეჯა (ta-le-ja)- შესატყვისების ვარიანტები:

1. სიტყვის ფუძეა ტალ-(tal-), მისი შესატყვისია **ტალ-//თალ-თოლ-** (ჭან., მეგრ.), **თვ-ალ-ი** (ქართ.). **თუ-ალ-ი** ძვ. ქართ. [ჩიქობ. IV, 63]. ჭანურში ვხვდებით შემდეგ ცვლილებას: გ – ჯ: [ჩიქობ. III, 198]. სიტყვის ცვლილება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ტალეჯა – თალეჯა – თოლეგა. **თოლიგე** საალერსო-საფიცარი მიმართვა: თვალო, თვალის სინათლე [ქაჯ.II. 59]. ტუტუ თალეჯა შეიძლება ასე ნავიკითხოთ: ტუტუ (ყრმის სახელი) თვალის სინათლე.

2. ტალეჯა ქალის სახელია.

პაკუკე (pa-ku-ke) -ამ სიტყვის შესატყვისად შეიძლება ორი ვარიანტი განვიხილოთ:

1 ის არის ანთროპონიმი.

2. პაკუკე-ს შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ ზმნა ფაკუა. **ფაკუა** სახელი ფაკუ(ნ) რბილად დება, გდება. [ქაჯ. III. 82]. პირველსა და მეორე პირში ზმნა დაირთავს -ქ სუფიქსს [ჩიქ. III, 110]. პ//ფ და კ//ქ ცვლილებათა გათვალისწინებით მივიღებთ: პაკუკე – ფაკუქე- ფაკუქ რბილად დევხარ.

ანოტი (a-no-ti) – ანა (ana, იხ. ზემოთ) //ანო (ano)-ს შესატყვისია **ენა** ეს. **თ(ი)** ნაწილაკი შეესაბამება ქართულ ც, ცა-ს [ქაჯ. II. 46]. ენა//ე -ს გათვალისწინებით (იხ. ზემოთ), ანოტი სიტყვის ცვლილება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ანოტი-ენათი- ეთი. **ეთი** (ე)ის, ესეც; ამით [ქობ. 267].

ტასოტი (ta-so-ti) – დათესილი იყო. ტას-ოტი ძირი არის ტას-, შესატყვისია ტას-//თას-. **ტასი** თესლი (ლაზ.) (იხ. ზემოთ). მეგრულში გვაქვს ტასი-ის ნაცვლად **თასი** თესლი, **თასუა** თესვა.

აპუემა (a-pu-e-ma) – **აფუ(ნ)** აქვს, არის, ერგება, ეკუთვნის, მოხვდება [ქაჯ. I. 199]. -უმ//–ამ//–ომ სუფიქსებია. [იხ. ჩიქობ. III, 141]. შდრ. სუფიქსთა ცვლილებები: -ებ → -ეფ → -ემ → -ენ [იხ. ჩიქობ. III, 144].

მანა (ma-na) – **მან** მე (იხ. ზემოთ).

ასონა (a-so-na) - 1. **აშონას** აქეთობას [ქობ. 48]. 2. **აშო-ნა** ასე რომ [კალანდ. 270].

ტუკა (tu-ka) – **ტუკა** შვილი (კნ.) [ქობ. 604].

ი მინონა (i-mi-no-na) – ი (იხ. ზემოთ), mi-no-na -ს შესატყვისია მინონან, მინონ. ზმნა **უნონ** უნდა, სურს, ნებავს, სწადია. სჭირდება. **მინონ, მინონან** მინდა, გვინდა [ასათ. 150, 151].

აჯაია (a-ja-i-a) – ანთროპონიმი. შდრ. **აჯია** ქალის სახელი ზღაპრებში [ქაჯ. I. 208].

ანა (a-na) – **ენა** ეს (იხ. ზემოთ).

ტუმირა (tu-mi-ra) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია. (იხ. ზემოთ).

იმიკანი (i mi-ka-ni) – ღვთაების, საკულტო ადგილის სახელია (იხ. ზემოთ).

ტაკო (ta-ko) – **ტაკო**: ლაზურ ლექსიკონში მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ხის პატარა ნაჭერი, რომელიც მიეჭედება კარებს ზემოთ დასაკეცად. 2) ფიცრის ნაჭერი [თანდ.750].

ენემინა (e-ne-mi-na) – მცენარის სახელწოდებაა. სანელებელია, სუნელი. მსგავს სიტყვას ვხვდებით B ხაზოვან ტექსტებში, e-ne-mi-na, როგორც ko-no-ს (სურნელოვანი ლერწამის) სახესხაობა. **ko-no** разновидность пахучего тростника [იხ. Каз. В.,Каз. И.80]. სულხან-საბას მიხედვით, ლერწამი სუნელია, რომელსაც რელიგიური რიტუალებისთვის გამოიყენებენ. **ლერწამი** სუნელია უაღრესი სხვათა სუნნელთა სამღრდელთა საკმეველად აღაზავენ [საბა. I. 412].

?-ti(или ka)-la-va-ka (или ti)-ke – ამ სიტყვის შესატყვისის მოძებნას ართულებს ის გარემოება, რომ სიტყვის დასაწყისი მარცვალის არ იკითხება და დანარჩენი ნაწილის მნიშვნელობა სათუთა.

ტარავო (ta-ra-vo) – **თარა** (იხ. ზემოთ).

მუ (ან ვა)სოტი (mu(или va)-so-ti) – მუსოტი-ის შესატყვისად შეიძლება განვიხილოთ რამოდენიმე ვარიანტი:

1. **მუსუთ** რასაც[ქობ. 500]. მუსუთ(ი)//მუსით(ი) რასაც [ქაჯ. II.340].

2. **მუშოთ** თავისთვის, თავისად. [ქობ. 500].

3. **მუშოთ?** რისთვის? რად? [ქობ.500].

ხოლო თუ ვასოტი-ია, მის შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ: **ვა** არ, ვერ, ნუ. **სოთი** საცა, სადაც [ქობ. 304, 595].

ქართულად:

იყო აღირანი. მოიარა (ინახულა) ტუკა, ტალეჯა რბილად დევხარ (განისვენებ). ამის დათესილი იყო, არის, ეკუთვნის. დადიოდა. [?] მე. ასე რომ ტუკა(შვილი) მინდოდა, აჯაია [?], ეს [?], ასე რომ ტუკა



მინდოდა. მოიარა ტუმირა, მოიარა იმიკანი. იარა, ხის ნაჭერი ენემინა (იშოვა ან შეიძინა). მოიარა უზენაესი ენემინა [?] თავისთვის.

წინამდებარე საფლავის წარწერიდან ირკვევა, რომ იყო ვინმე ალირანი, რომელიც იყო ტუკას მამა (ამის დათესილი იყო). მას შვილი, ტუკა უნდოდა, რადგანაც მისი მამა იყო. ასე რომ დედის, ტალეჯას გარდაცვალებს შემდეგ. მას ერგებოდა, ეკუთვნოდა შვილი. ამისათვის მან მოიარა ღვთაებათა საკულტო ადგილები: ტუმირა და იმიკანი, მან მოიარა ის ადგილი, სადაც ძვირფასი სანელებელი ენემინა იშოვებოდა. ენემინას ხის პატარა ნაჭერი უზენაესს მიართვა.

## ლემნოსური სტელა

1885 წელს ლემნოსში აღმოჩენილ იქნა საფლავის ქვა (ძვ. წ. VI) ნარნერით, რომელიც შესრულებული იყო ევბეური ბერძნულის და ეტრუსკულის მსგავსი ასოებით. უცნობი იყო დამწერლობის ენა. ლემნოსური სტელის ტექსტი სრულად იკითხება ლაზურ-მეგრული დიალექტების საშუალებით.

ქვემოთ მოცემულია ლემნოსური სტელის ტექსტი [Креч. 336-337. გორდ. II. 406]. ტექსტი მთლიანობაში სწორედ არის ამოკითხული, გარდა რამოდენიმე შესწორებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ალფავიტის ასოს Z შეესაბამება თანხმოვანი „ს“, ხოლო { , } თანხმოვანი „შ“ [იხ. Παп. 362].

ლემნოსური სტელის ტექსტი:

ნინა მხარე, მარცხნივ:

1. აქერ : ტავარსიო

2. ვანალაშიალ : სერონაი : მორინაილ

მარჯვნივ:

3. ჰოლაიეს : ნაფოთ : სიასი

შუაში:

4. მარას : მავ

5. შიალხვეის : ავის

6. ევიშთო : სერონაით

7. სივია

გვერდითი მხარე:

1. ჰოლაიესი : ფოკიაშიალე: სერონაით: ევიშთო: ტოვერონა

2. რომ: ჰარალიო: სივია: ეპტესიო: არაი: ტის: ფოკე

3. სივია: ავის: შიალხვის: მარასმ: ავის: აომაი

სიტყვათა განმარტება და ანალიზი (დამონმებულია წყაროებით):

აკერ (aker) – კ//გ//ქ-ს გათვალისწინებით მივიღებთ; აგერ. აგერ აქ [ქეგლ. I. 93]. მეგრულში და ლაზურშიც გვაქვს აქ აქ [ქობ.42].

ტავარსიო (tavaršio) – **თავარ-ი(თავარს)** მთავარი [ქაჯ. II.33]. **მთავარი** ესე არს უფროსი, გინა თემის მპყრობელი [საბა. I. 474].

ვანალაშიალ (vanalasia) – ვერ ნაშლილი. ვერ განადგურებული, ვერ ჩაშლილი (საქმე). ვა არ, ვერ, ნუ (უარყოფითი ნაწილაკი); მაგალითად: ვა-ქიშინა არა ჰქმნა [ქობ.304]. ნალაშიალ-ს შეესაბამება ნალასა. ფუძე ლაშ-//ლას-. ნა- პრეფიქსი აწარმოებს: 2...., -ელ, -ერ// -უერ სუფიქსებთან ერთად ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღობას. [ქაჯ. II. 345]. ნალასა {გა}ნალესი; ნანაშლელი; ჩანაშალი. ლასუა 1. ამოლესვა; ნაშლა, მოშლა, ჩაშლა (საქმისა). 2. რისამე აკრძალვა; განადგურება [ქაჯ. II. 184].

სერონაი, სერონაით (šeronai, šeronaiθ) – ღამე, ღამით. სერი ღამე; მიმწუხრი; ვახშამი [ქობ. 591]. შდრ. სერანუა სეირნობა [ქობ.590].

მორინაილ (morinail) – **მორინელ-ი** მომდგარი; მხარის დამჭერი]. **მორინა** მიმხრობა; მოდგ {ო}მა; მხარდაჭერა [ქაჯ. II. 307].

ჰოლაიეს (holaieš) – ანთროპონიმია.

ნაფოთ (nafoθ) – ნა- პრეფიქსია, ძირია ფოთ-, რომელთა შესატყვისია ასევე ძირი ფოთ-, ზმნა ფოთ-აფ-ა. ფოთაფა დაქადნება ვი-სიმე იმედით; დამონმება, მოშველიება; მოპოვინება [ქობ. 627].

**ნაფოთეფი** დამონმებული; მოშველიებული; სასიქადულო, თავ-  
დებად მოყვანილი [ქობ.512].

სიასი (šiaši) – ანთროპონიმია. შდრ. SI-ZA, SU-SE ანთროპონიმი  
[Kaz.194,]. შდრ. **სია** სია; თხელი, დამდგარი, მაგრამ უგუბო წყალი  
[ქობ.592].

ევიშთო (evisθo) – **ვიშ, იშ, იშო** იქით. **ვიშოთ** იქითაც [ქაჯ. I.  
585]. სიტყვის ცვლილება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ევიშთო-  
ეიშთო. **ეიშა** უნინ, მანამდე, იქამდე [ქობ 269]. **-თ(ი)** ნანილაკი  
ქართული -ც შესაბამისია (იხ. ზემოთ). ე ი შ თ ო იქნება იქამდეც,  
მანამდეც, უნინაც.

სივაი (šivai) – **სავაიო** სავაებო, სავალალო, სადავიდარაბო[ქობ.  
578]. შდრ. **სიავე** (სიავეს) სიავე [ქაჯ. II. 595]. **შავავა!** შორისდ. მწუხა-  
რებისა [ქობ. 657]. **ზივა** შეტევა [თანდ. 285].

შიალხვის (sialxviš) – ამ სიტყვის შეიძლება ორნაირი შესატყვი-  
სი მოვეუძებნოთ:

1) სიახლოვე (ქართ.) ნიშნავს ახლოს ყოფნას. **სარხოს** სიახ-  
ლოვეს. **ხოლუა** სიახლოვე, ხლება, ახლოს ყოფნა [ქობ. 584, 729]. ხ-ს  
ნინ **რ** არის მეგრულში: სარხოს. ლემნოსურ სიტყვაში **რ**-ს მაგივრად  
**ლ**: სიალხვის.

2) ში-ალ-ხ-ვი-ს – იგი შეიძლება ასაკზე მიუთითებდეს. ში  
ლაზურში ანშ(ი), ექვისის შესატყვისია. **აშ//ანშ** ექვისი [თანდ.40]. -ალ-  
ის შესატყვისი იქნება -ულ, ისევე, როგორც სიტყვაში ვით-ულ-ი  
ათეული. -ხ მოთხრობითის სუფიქსია -ქ-ს შესატყვისი. მივიღებთ:  
შიალხ-შიალქ-ანშიალქ-ანშიულქ//ანშიულქ ექვსეულმა. ლაზურის  
თავისებურებაა ის, რომ ზოგჯერ სახელობითში და მოთხრობითშიც  
-ქ სუფიქსს დაირთავს. [ჩიქობ. III. 93]. ვე, ვი-ს შესატყვისი იქნება ვი,  
რომელიც აღნიშნავს რიცხვს ათს (10-ს). **ვი//ვით** 1. ათი [თანდ.277].  
შიალხვის-ანშიულქვითს სიტყვასიტყვით ნიშნავს ექვსეულმათს,  
ექვსეულიათს, სამოცს. ძველ ქართულში -ეულ სუფიქსს დაირთავს

ათი და არა ექვსი. მაგალითად, ექვსათეული აღნიშნავს რიცხვს 60 [იხ. საბა. II. 38].

ავის (aviš) – ამ სიტყვასაც შეიძლება ორნაირი შესატყვისი მოვუძებნოთ:

1. ავი (ავისა) ბოროტი, ცუდი (ქართ.).

2. ავის – ვიქნებოდი (ექნება). სიტყვის ძირია ვ-, რომლის შესატყვისია: **ყვ(>ყვ>ი'>ვ)-უ** ყო, ქმნა, მოიმოქმედა; გააკეთა; გამართა [ასათ. III. 282]. შდრ. **ოვუ** ყოლა [თანდ. 598 ]. **ავუს** ეყოლა. **მავაის** მეყოლება [თანდ. 200, 201 (კარტ.)]. **ვი 2.** გააკეთე [თანდ. 277]. ზემოთქმულიდან გამომდინარე სიტყვები: ავის შიალხვის (aviš : sialxviš) ასე განიმარტება: ვიქნებოდი სამოცის (ან სიახლოვე ავის).

მარას, მარასმ (maraš, marašm) – **მარა:** 1. მარა (მარას), **მარუა**, მარუო ერთი კვირა. 2. მარა მაგრამ. მარაშ ერთი კვირის [ქაჯ. II. 216].

მავ (mav) – **მა-ვა** მეო [ქობ. 304].

ფოკე(foke) – ტოპონიმი. ფოკიდა ძვ. მხარე შუა საბერძნეთში [გელ. 702]. შდრ. სიტყვა ფოქვი//ფოქვა. **ფოქვა** დარანი, გამოქვაბული, მღვიმე [ქობ.628].

ფოკიაშიალე (fokiasiale) – ფოკიელი. -იალ სუფიქსია. მეგრულში გვაქვს კუთვნილების, ქონების სახელების მანარმოებელი სუფიქსები: -(ი)ელ, -იარ [ქირია და სხვ. 131- 132].

ტოვერონა (toverona) – ფუძეა ტოვ-, შესატყვისია ქართულში **ტ-ევ-** (ტოვ-ება), ხოლო მეგრულში: **ტ-ალ-//ტ-ევ-** და ჭანურში- (ლაზურში) **ტ-ალ-** ტოვება [იხ. ჩიქობ. IV. 313-314]. -ერ არის სუფიქსი. მეგრულში გვაქვს ასევე მიმღეობის სუფიქსები: -ერ// -ელ. **ზ-ერ-ი//ზ-ელ-ი** მოზელილი. **ჭ-ელ-ი//ჭ-ერ-ი** შეკერილი და -ირ// -ილ ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობის მანარმოებელი სუფიქსი. **ჭოფ-ილ-ი** დაჭერილი [ქაჯ. I. 554. II. 85]. სიტყვაში: ტოვერ-ონ-ა -**ონ-**ის შესატყვისია -**ან**, ზანური -**ან/-ამ/-ავ/-**ის შესატყვისი ქართულში არის -ებ [იხ. ქირია და სხვ. 421].

ზემოთქმულის გათვალისწინებით სიტყვის ცვლილება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ტოვერონა-ტოველონა-ტოვილები-  
{და}ტოვილები, თანამედროვე ქართულით დატოვებული.

რომ (rom) – **რომ** მაქვემდებარებელი კავშირი(ქართ.).

ჰარალიო ( haralio) – ან მაგიური სიტყვაა ან რომელიმე ღვთაე-  
ბის სახელი. ჰარალი, ჰარიჰარალი, ჰარიარალი ქართული ხალხური  
სიმღერის მისამღერია. ა. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით,  
ა რ უ ლ ი მაგიური სიტყვებია. **არული** შორისდებული კუდიანებში  
არეულობის შესატანი [ქობ.40]. ძველ ქართულ ლექსიკონში ჰარი  
განმარტებულია, როგორც ხარის შერისხვა. [იხ. საბა. II.466]. შდრ.  
მინოსელების ხარის კულტი.

ეპტესიო (eptešio) – სახელწოდებაა რაღაცის. თანამდებობის,  
ისევე როგორც ტავარსიო, ან ტოპონიმი. შდრ. სიტყვა: **ეფთო**  
თურმე. [თანდ.257].

არაი (arai) – ა რ ა ი არაფერი. ძველ ქართულ ტექსტებში  
გვხვდება სიტყვა ა რ ა ი , მაგალითად, „უფალმან მმწყსოს მე და მე  
არაი მაკლდეს.“ [ფსალმუნი 22, გვ. 33].

ტის (tiš) – ამ სიტყვასაც შეიძლება ორნაირი შესატყვისი მოვუ-  
ძებნოთ:

1. **თის** იმას [იხ. ქირია და სხვ. 104]. ნაცვალსახელებში ტ-ს  
მაგივრად ძირითადად, თ გვხვდება ლაზურ-მეგრულში, თუმცა  
ლაზურის ვიწურ-არქაბულ კილოკავში გვაქვს: თქვან//თქვა//ტკვა,  
თქვანი//ტკვანი [ქირია და სხვ. 92, 115].

2. **ტის** იყავი. შდრ. **ტა** იყავი. **ტას** იყოს. **ტუ** იყო. **რტეს** იყვნენ. **ტი**  
იყავი [კალან. 105, 125, 126, 177, 196].

აომაი (aomai) – **ეომა** ( ქართ.).

ლემნსოსის სტელის შინაარსი:

ნინა მხარე, მარცხნივ:

1. აგერ მთავარი (უფროსი, თემის მპყრობელი)

2. ვერ ჩაშლილი საქმე, ღამით მომდგარი, მხარის დამჭერი

მარჯვნივ:

### 3. ჰოლაისი. დამონმებული სიასი

შუაში:

4. მეო. კვირას.

5. ვიქნებოდი სამოცის.

6. მანამდეც ღამით

7. სავაებო

გვერდითი მხარე:

1. ჰოლაისი, ფოკიელი, ღამით მანამდეც დატოვებული

2. რომ. ჰარალიო, სავაებო ეპტესიო არაფერი იყავი. ფოკე

3. სავაებო. ვიქნებოდი სამოცის. ვიქნებოდი კვირას. ვიომე (ეომა).

ტექსტის შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიციცეს:

ჰოლაისი ფოკიელი ყოფილა მთავარი (ან თემის მპყრობელი). კვირას ის იქნებოდა 60 წლის, მაგრამ წინა დღით ომში დაიღუპა. მიუხედავად ხელის შეშლის მცდელობისა, ის ღამით საშველად, დასახმარებლად მაინც მივიდა, (კონკრეტულად არ ჩანს ვისთან, შესაძლოა ეპტესიოსთან), ამას დაგიმონმებთ სიასიო. როგორც ჩანს, ის ადრეც დაუტოვებიათ, რომ დახმარებოდა მათ. ვინმე ეპტესიო არაფერი იყო. ფოკესთვის სამწუხარო, სავაებო დროა. მთავარი ომში, ბრძოლაში დაეღუპათ.

ლემნოსური სტელის ტექსტიც ამჟღავნებს გარკვეულ სინტაქსურ თავისებურებებს, რაც აგრეთვე დამახასიათებელია ლაზური (ჭანური) დიალექტისთვისაც (იხ. ზემოთ).

## ეგრუსკული რიცხვითი სახელები

ცნობილია ეგრუსკულ რიცხვთა სახელები ერთიდან ექვსამდე (თუმცა დაზუსტებულად ვერ ჩავთვლით) [იხ. გორდ. 25-26. Παπ. 368]. ესენია: *θu*, *θun* - 1, *Zal*- 2, *Ci*- 3, *huθ*- 4, *max*- 5, *S'a* 3 ან 6.

ეგრუსკულ რიცხვით სახელებს შესატყვისი მოეპოვება ქართულსა და ქართველურ ენებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რიცხვითი სახელები მსგავსებას და კავშირს ამჟღავნებენ ნაცვალ-სახელებთან, ზმნიზედებთან, ზმნისწინებთან, ციურ მნათობთა და ღვთაებათა სახელებთან.

**θu, θun (თუ, თუნ)** – რიცხვი 1. ცნობილი ქართველი მეცნიერის რ. გორდეზიანის აზრით, მასთან კავშირში უნდა იყოს სიტყვები: თითო და თითი [გორდ. 25]. აღსანიშნავია ის, რომ ლაზურ-მეგრულ დიალექტებში კვირის პირველი დღე მთვარის სახელობისაა: **თუთა** მთვარე. **თუთაშხა** ორშაბათი [ქობ. 320-321]. მსგავსებაა ლაზურ-მეგრული დიალექტის ნაცვალსახელებთან და ზმნიზედასთან: **თე//თენა** ეს, ეგ. **თინა** ის. **თუდო** ქვევით. შდრ. **თუდა** დაბალი [ქობ. 314, 315, 320].

**Zal (ზალ)** – რიცხვი 2. ასოს *Z*-ს შეესაბამება თანხმოვნები *ც* და *ზ*. ზანურისთვის დამახასიათებელი *ზ//ჟ* და *რ//ლ* ცვლილებათა გათვალისწინებით მივიღებთ: *ზალ*-*ჟარ//ჟალ*. *ჟურ//ჟირ* აღნიშნავს რიცხვს 2-ს. *ჟი* მაღლა, ზევით. **ჟირინელი** ზემდგომი, ზენაარი [ქობ.



567]. შდრ. სიტყვები: **ბჟა** მზე. **ჟაშხა** კვირადღე, მზის დღე. [ქობ. 67, 566]. ქართულში გვაქვს **ზე** ზევით.

**Ci (კი//გი)** – რიცხვი 3. ძველ ქართულში ანბანის თითოეულ ასოს კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა და ისინი ციფრის ფუნქციასაც ასრულებდნენ. ასო **გ**, (**გან**)-ს შეესაბამება რიცხვი სამი. **გა** არის ძველი ქართული წარმართული ღვთაების სახელი, ასტარტეს შესატყვისი. **გა** არის სვანური რიტუალური სამხმიანი სიმღერა [იხ. ქეგლ. II. 1-2 ]. ლაზურ-მეგრულში გი-// გე- ზმნისწინებია. **გე**- ზმნისწინი გამოხატავს ქმედებას რისამე ზედაპირზე, შესაბამება ქართული ზე-, ზედ-. (გენჯირა ზედ წოლა). **გილა**- ზმნისწინი გამოხატავს მოქმედებას რისიმე გასწვრივ. [ქობ.84, 124]. **გე**- -**ე** პრეფიქსთან ერთად გამოხატავს ოდნობას (ხარისხს). გე-რჩ-ე ზევიდან ოდნავ თეთრი [ქაჯ. I. 297]. **იგი** ჩვენებითი ნაცვალსახელი (ქართ.).

**Maχ (მახ)** – მისი მნიშვნელობა ზუსტად არ არის დადგენილი. სინამდვილეში ის არის რიცხვი 4. **ოხო** ოთხი [თანდ.279 (ჟღენტი)]. **ოთხი** ოთხი. **მაოთხა** მეოთხე. **მახოლა** იმსიახლოვეს (ხოლოსთან ახლოსთან თანაბრობის ხარისხი) [ქობ. 535, 389, 399].

**Huθ (ხუთ)** – მის მნიშვნელობად მიიჩნევა ციფრი 4 ან 6, სინამდვილეში ის არის რიცხვი 5. huθ-ის ქართულ ხუთთან მსგავსება აღნიშნა გორდეზიანმა [იხ. გორდ. 26]. **ხუ//ხუთ** ხუთი [თანდ.888]. **ხუ** პეშვი, მუჭი [ქაჯ. III. 577]. ხუთივე თითი ერთად მუჭი, მუშტი.

**S'a (შა)** – რიცხვი 6. შესატყვისია აშ//ანშ. **აში** ექვსი [თანდ.40]. შდრ. სიტყვები: **აშო** აქეთ [თანდ.40]. **იშ//იშო** იქით. **ოშე** შუაში [ქობ. 350,551].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიცხვით სახელებს აქვს ორნაირი მნიშვნელობა. მაგალითად ლაზურში სიტყვა ვი აღნიშნავს ერთ შემთხვევაში ციფრს ათს (10-ს), ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნავს ზმნას: გააკეთე (იხ. ზემოთ). ასევე ძველ ქართულში სიტყვა სამ: სამ-ი არის ციფრი 3 და აგრეთვე აღნიშნავს ზმნიზედას სადმე. **სამ**

1. სადმე ნაკვეთი. 2. სამის ნაკვეთი [საბა. II.36]. ასევე საგულისხმოა გორდეზიანის მიხედვით, ციფრი ერთის მნიშვნელობის დაკავშირება თითთან და თითოსთან. როგორც ზემოთ განვიხილეთ, სიტყვა ხუ აღნიშნავს ციფრს ხუთს და ასევე მუშტად შეკრულ ხუთივე თითს ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეტრუსკული რიცხვითი სახელების და ლაზურ-მეგრულ დიალექტებში მათი შესატყვისების ეტიმოლოგიური კავშირი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

**თა, θαη (თუ, თუნ)** – რიცხვი 1: ეს (თე//თენა) პირველი თითია (თითო, თითი), რომელიც დაბალია (თუდა) და დაბლაა(თუდო).

**Zal (ზალ)** – რიცხვი 2: ზევით (ჟი, ზე) არის მეორე თითი.

**Ci (კი//გი)** – რიცხვი 3: ორის გასწვრივ, ზედ, იგი (იგი, გი-//გე-, გილა-) არის სამი.

**Max (მახ)** – რიცხვი 4. სამთან სიახლოვეს (მახოლა) არის ოთხი.

**Huθ (ხუთ)** – რიცხვი 5. ხუთივე თითი ერთად არის ხუთი (ხუ//ხუთ).

**S'a (შა)** – რიცხვი 6. ხუთის აქეთ (აშო), თითქმის შუაში (ოშე) არის ექვსი.

როგორც ჩანს, რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიაში ძირითადად ზმნიზედები, ნაცვალსახელები და ზმნისწინებია გამოყენებული, რაც მიუთითებს თავად ამ უკანასკნელთა შორის არსებულ კავშირზე.





თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

[stamba.damani@gmail.com](mailto:stamba.damani@gmail.com)

📘 სტამბა დამანი / Print House Damani